ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 5 ნოემბერი, 2020 №231 (8495) ფასი: 60 თეთრი

„პოლიციელი, რომელიც გოგონებს დაეჯახა, გაქცეულა, მაგრამ მერე თვითონ ჩაბარებულა“

სალომე მთვარელიშვილის დაღუპვისთვის გამომძიებელი რ.მ. დააკავეს

გვ.5

„ქართულმა ოცნებამ“ ხმების 10-12% მოიპარა“



პაატა დავითაია: „ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია“

გვ.4

„ვისაც სურს „ქართულ ოცნებას“ სამარეში ჩაჰყვეს, პარლამენტშიც შეჰყვნენ“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „რიგგარეშე არჩევნებს კი არ ველოდები, არამედ ამ არჩევნების თავიდან ჩატარებას, რადგან ეს არჩევნები ხალხს მოპარეს“

მამუკა გიორგაძე: „სააკაშვილი ყოველთვის დესტრუქციულ როლს ასრულებდა“

გვ.3

„საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას არ შეუქმნია ნამდვილი დემოკრატიული ინსტიტუტები“

ნანუკა ჟორჟოლიანი: „ბიძინამ ჩემი ოლქი ამახია და თავის ძმაკაცს აჩუქა“

გვ.2

„ბრძოლის ველიდან არასოდეს გავქცეულვარ, ხელისუფლებებს ეშინიათ ქუჩის“

დაკავებულია 20 პირი, რომლებიც ათობით მილიონი ევროს გათეთრებას ცდილობდნენ

გვ.5

გვ.4

ჯონდი ბაღათურია: „ჩემს უბანზე ხმა 18 კაცმა მივეცით, ცესკომ ნული დაგვიწერა“

ISSN 1987-9385

2 ნიკა მელია: „ხელი ჩაწიე, შენ არ ხარ პოლიციელი. შენ ხარ მოძალადე“

5 მარნეულში დედა-შვილი მოკლეს
დააკავეს მეზობელი მამა-შვილი

3 ხაშურის მერ გურასპაშვილს „ოცნების“ კანდიდატმა დუგლაძემ სცემა

6 მთიანი ყარაბაღი: დაღუპულია 46 და დაშავებულია 144 მშვიდობიანი მოქალაქე

ნანუკა ჟორჟოლიანი: „ბიძინამ ჩემი ოლქი ამახია და თავის ძმაკაცს აჩუქა“

„ბრძოლის ველიდან არასოდეს გავქცეულვარ, ხელისუფლებებს ეშინიათ ქუჩის“

იავო ნაცვლიშვილი

დარჩება თუ არა პოლიტიკაში და იბრძოლებს თუ არა ბიძინა ივანიშვილის მმართველობის დასასრულებლად? შეინარჩუნებს თუ არა ოპოზიცია ერთიანობასა და პრინციპულობას? რა მსგავსებას და განსხვავებას ხედავს შევარდნაძის მმართველობის 2003 წლის ვითარებასა და ივანიშვილი მმართველობის დღევანდელობას შორის და რატომ თვლის, რომ ივანიშვილმა მას „აახია“ არჩევნები და თავის ძმაკაცს აჩუქა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნანუკა ჟორჟოლიანი საუბრობს, რომელიც „ძალა ერთობაშია“-ს“ სახელით კენჭს იყრიდა წყალტუბოს, სამტრედიის, ვანისა და ხონის მაჟორიტარულ ოლქში.

– თქვით, რომ აპირებდით, ყოფილიყავით განსხვავებული პოლიტიკოსი. დღეს, როდესაც ასეთი კრიზისული ვითარება შეიქმნა და ოპოზიცია არ შედის პარლამენტში და თქვენც წაგეთ თუ წაგაგებინეს არჩევნები, აპირებთ თუ არა დარჩეთ პოლიტიკაში და იბრძოლოთ?

– ბრძოლის ველიდან გაქცეული მე არავის ვუნახივარ. ბრძოლის ველზე მივსულვარ, მაგრამ იქიდან არასოდეს გამოვქცეულვარ. ახლა ბრძოლის ველია და იქიდან რომ არ გამოვიქცევი, ხომ ზუსტად იცით? სანამ ეს ბრძოლა არ დასრულდება, ვიქნები ბრძოლის ხაზზე. ამას თუ პოლიტიკაში დარჩენა ჰქვია, მაშინ გამოდის, რომ პოლიტიკაში დავრჩი. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ნებისმიერი მოქალაქის ვალია იბრძოლოს და არა მხოლოდ პოლიტიკოსების. ვინც გაბრაზებულია, ვინც დაყაჩაღებულია, გაქურდულია და დამცირებული, ყველამ უნდა იბრძოლოს. აქ არ არის მხოლოდ პოლიტიკაზე ლაპარაკი.

– ზუსტად აქედან გამომდინარე ვსვამ კითხვას. ბრძოლის მეთოდები არის სხვადასხვა. არის პოლიტიკა, მედია, სხვა პლატფორმები.

– არ არსებობს. ნახეთ როგორ არის. ხელისუფლებას ყოველთვის ეშინია რადიკალიზაციის. მხედველობაში მაქვს ხალხის ქუჩაში გამოსვლა. ხელისუფლებას ეშინია ქუჩის, ოღონდ მარტო ამ ხელისუფლებას კი არა, მათ შორის, ჩემი მეგობრებიც რომ იყვნენ ხელისუფლებაში, მათაც ყველაზე მეტად აქციების ეშინოდათ. ყველა ხელისუფალს ეშინია ქუჩაში გამოსული ადამიანების. იმიტომ, რომ საკუთარი სკამის ყანყალის საფრთხეს მანდ ხედავენ.

ახლა მე რაღაც დავარცხნილი მონოლოგით შევაშინებ ბიძინა ივანიშვილს?! თუ იმითი, რომ აქციებს ჩავუტარებ რაიონებში, თუ იმითი, რომ საოლქო კომისიებს არ მივცემ უფლებას, რომ სხდომები ჩაატარონ, სადაც არც ერთ საჩივარს არ იხილავენ?! გვეუბნებიან, საჩივარი სად არისო. 300-მდე საჩივარი გვქონდა დაწერილი, რომელიც გაერთიანდა შინაარსის მიხედვით და არც ერთი საჩივარი არ იხილება. კი იხილება, მაგრამ ყველა უარყოფილია და რა აზრი აქვს ამ ფორმალობებს?! ან სასამართლოში ჩივილს რა აზრი აქვს, როდესაც საოლქოსაც, სასამართლოსაც და ყველაფრის დირექტორი ბიძინა ივანიშვილია. ერთადერთი, რისი დირექტორიც ბიძინა ივანიშვილი არაა, ეს არის ხალხი. შესაბამისად, ამ ხალხის ხმა უნდა გაიგოს მან ძალიან კარგად.

– ამ კოვიდის ფონზე რა მოლოდინი გაქვთ, გაიგებს?

– თუ ოპოზიცია არ დაიღლება და თუ ოპოზიცია ერთობას არ დაშლის და ვინც დაშლის, გაიზიარებს იმ პოლიტიკოსების ბედს, რაც მოხდა შევარდნაძის დროს. ვერ გხედავთ და არ ვიცი, რა ასაკის ხართ და შესაბამისად არ ვიცი, მაშინ თუ იყავით ჟურნალისტიკაში.

– მაშინ სკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ მახსოვს რაღაცები.

– რა მნიშვნელობა აქვს, არქივი არსებობს და დარწმუნებული ვარ, იცით ის ვითარება. ვინც შევიდნენ მაშინ პარლამენტში შევარდნაძის „გასაპრავებლად“, მაშინ გამოვიდნენ და თქვეს, რომ პოლიტიკიდან მივდივართო და დღემდე არ დაბრუნებულან. მიუხედავად იმისა, რომ მე მათ დღემდე დიდ პატივს ვცემ პერსონალურად, როგორც ადამიანებს. შესაბამისად დღესაც იგივე მოხდება.

ასეთი სამოქალაქო საზოგადოება არასდროს არ ყოფილა გარკვეული თვალსაზრისით. 90-იან წლებშიც გვახსოვს ჩვენ მაღალი ეროვნული თვითშეგნების ადამიანები, მაგრამ დღეს სოციალური ქსელის სამყაროა. გახსნილი და ხელმისაწვდომია ყველაფერი და ყველა პროტესტი. დღეს არ გვჭირდება რუსთაველზე დადგომა, რომ რაღაც გავაპროტესტოთ, მაგრამ ხელისუფლებას ესმის მხოლოდ რუსთაველზე პროტესტის ხმა.

– ერთია სოციალურ ქსელში ბოლის გამოშვება და მეორეა ქუჩაში დადგომა.

– იგივე თუნდაც გადაცემაში. მაგალითად, დღეს მთელი ჩემი გადაცემა გადმოვიტანე რაიონში. იმიტომ, რომ აქ ხდება ამბავი. დღეს ამბავი აღარ ხდება სტუდიებში. ამბავი ხდება იქ, სადაც გადაყრილი და დაყაჩაღებული ამომრჩეველია.

– დღეს ოპოზიცია არის ერთიანი, აქვს პრინციპული პოზიცია, მაგრამ შეინარჩუნებს ერთიანობას?

– ნახეთ, როგორ არის? შეხედეთ, როგორი ჭრელია ოპოზიცია. მე ამაზე ჭრელი ოპოზიცია არ მახსენდება არასდროს. როგორ გითხრათ, რომ ამ რეალობიდან გამომდინარე ერთობას შეინარჩუნებენ?! მაგრამ, მე არ მგონია, რომ ერთობას არ შეინარჩუნებენ. უფრო სწორად, იცით რა არ მგონია? ის, რომ ახლა ბიძინას ფულს დახარბდნენ. ჯერ ერთი, ჩვენ არ გვქონდეს რაღაცნაირი წარმოდგენა ბიძინაზე, რომ ის ადგება და თავისი ქონების ნახევარს ვიღაცას გაუყოფს. გადახედეთ ოპოზიციის ძირითად შემადგენლობას. თუ მცირე გამონაკლისებს არ ჩავთვლით, ყველას უთანამშრომლია მასთან. ძალიან კარგად იციან, რა არის ბიძინასთან თანამშრომლობის ფასი. აღარ გჭირდები? გადაგდებული ხარ. შესაბამისად, მე არ მგონია, რომ ისინი ამ ნაბიჯზე წავიდნენ.

– ალბათ არც ბიძინა მოინდომებს დღეს რაღაც გარიგებას თუ თანამშრომლობას მათთან, ვისთანაც უთანამშრომლია, რადგან აქვს ხოლმე მასაც პიროვნული ფაქტორები.

– ბიძინას, იცით, როგორი პიროვნული ფაქტორები აქვს? თავის ძმაკაცს აჩუქა მაჟორიტარული ოლქი ჩემს რაიონში. ამაზე დგას. უბრალოდ „გაუსწორა“ ძმაკაცს და აჩუქა. რაღაც კონკრეტული მიზეზების გამო არ დანიშნა მეორე ტური, არ მინდა ამ მიზეზებს შევეხო, რადგან ჩვენი ჯანმრთელობა პირადი ცხოვრებაა და არ ვაპირებ განვიხილო პოლიტიკურ კონტექსტში. ბატონი გივი ვერ იყო მთლად ჩართული კამპანიაში ობიექტური მიზეზების გამო. ყველამ იცის, რომ ის მეორე ტურს ასე ვერ იზამდა. არ ჰყოფნიდა რესურსი მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით. ამიტომ ადგა და აჩუქა ისე, რომ მეორე ტური არ ყოფილიყო, თორემ მეორე ტურს მოვიგებდი თუ არა, კაცმა არ იცის. საკითხავია, ხალხი ამირჩევდა თუ არა მეორე ტურში, მაგრამ პირველი ტური ხომ „ამახიეს“. წყალტუბოში, სადაც „გასხმული“ ჰქონდათ ბოლომდე. 24 საათით ადრე 6.000 ადამიანი ჩამისვეს, ისეთები, რომლებსაც ვეძებთ და ვერ ვიპოვეთ, ვინ არიან. შესაბამისად, აი, ეს არის ბიძინას პიროვნული ფაქტორები.

– ახსენეთ 2003 წლის ვითარება და ხედავთ, რომ იდენტური ვითარებაა იმ პერიოდსა და დღევანდელობას შორის?

– იცით, როგორ არის? ძალიან ბევრ საკითხში განსხვავებულია, მაგრამ იდენტურიც არის. გაყალბებული არჩევნებია. არ არის ეს ხელისუფლება ისეთი გაკოტრებული, როგორიც შევარდნაძე იყო მაშინ. ედუარდ შევარდნაძეს არ ჰქონდა 7 მილიარდი, ის იყო უკვე ასაკში და მაშინ რეალურად ქვეყანას მისი გარემოცვა მართავდა. დღეს ბიძინა ფორმაშია და აქვს 7 მილიარდი. ანუ, გასათვალისწინებელი ფაქტორებია სხვადასხვაგვარი.

– თუმცა, შევარდნაძემ, ბიძინასგან განსხვავებით, პოლიტიკა იცოდა.

– რატომ დამასწარით, მაგის თქმა მინდოდა, რომ მაშინ ქვეყანას მართავდა პოლიტიკოსი, დღეს კი ქვეყანას მართავს ოლიგარქი. პოლიტიკოსსაც კი მოუწია დამარცხების აღიარება იქ, სადაც ხალხის ხმა ისმოდა. დამერწმუნეთ, ოლიგარქებს უფრო მეტი აქვთ დასაკარგი. იმიტომ, რომ ეშინიათ. ის კი არა, რომ 7 მილიარდს დაკარგავენ და ანგარიშებს დაუყადაღებენ, არამედ ანგარიშიდან 1 თეთრი რომ აკლდებათ, ცუდად ხდებიან.

„ხელი ჩაწიე, შენ არ ხარ პოლიციელი. შენ ხარ მოძალადე“

ნიკა მელია დავით მჟავიას წინააღმდეგ

– ფორმა უნდა გაიხადო და კვირას დადგე აქციაზე ხალხთან ერთად, იმიტომ, რომ ეს ხალხი არ გაპატიებს იმას, რაც შენ გააკეთე.

ასე მიმართა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ საპატრულო პოლიციის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსს დავით მჟავიას.

ინტერპრესნიუსის ცნობით, გლდანში, ახმეტელის მეტროსთან ნიკა მელიასა და დავით მჟავიას შორის მომხდარ სიტყვიერ დაპირისპირებას წინ უძღოდა ინციდენტი, როდესაც ნიკა მელიასთან მივიდა ერთ-ერთი მოქალაქე და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა მელია გაერთიანებული ოპოზიციის წევრებთან ერთად მოსახლეობას ფლაერებს ურიგებდა, რითაც კვირას, რუსთაველის გამზირზე ოპოზიციის მიერ დაგეგმილ აქციაზე მისვლისკენ მოუწოდებდა.

აღნიშნული პირი პოლიციამ ადგილიდან გაიყვანა, თუმცა კამათი უკვე მელიასა და გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს უფროსს, დავით მჟავიას შორის გაგრძელდა.

მელიამ იკითხა, სად იყვნენ მაშინ, როცა არჩევნების დღეს გლდანში ინციდენტი მოხდა.

– დავით კვიჟინაძე რომ არის კახა კალაძის მონა, იარაღით არ იყო?! უბანს რომ არბევდნენ, რას აკეთებდი?! დღეს გარეთ არის, – მიმართა ნიკა მელიამ დავით მჟავიას, რომელმაც ოპოზიციის წევრს დამშვიდებისკენ მოუწოდა.

– დაწყნარდი კი არა, ფორმა უნდა გაიხადო და კვირას დადგე აქციაზე ხალხთან ერთად, იმიტომ, რომ ეს ხალხი არ გაპატიებს იმას, რაც შენ გააკეთე, – აღნიშნა მელიამ.

დავით მჟავიამ კი განაცხადა, რომ ის ქვეყანას იცავს და პატიოსნად ემსახურება. მან მელიას უპასუხა, რომ იტყუება, ვინაიდან 31 ოქტომბერს, არჩევნების დღეს გლდანში მომხდარ ინციდენტზე პოლიციამ გამოძიება დაიწყო და არიან დაკავებულებიც.

– ვემსახურები ქვეყანას და პოლიციელს მომმართე ნორმალურად, – აღნიშნა დავით მჟავიამ.

– ხელი ჩაწიე, შენ არ ხარ პოლიციელი. შენ ხარ მოძალადე, იმიტომ, რომ გლდანში მოძალადეების გვერდით იდექი და ყველა კადრში იყავი. უნამუსო ხარ შენ, – მიმართა მელიამ პოლიციელ დავით მჟავიას.

ამასთან, როგორც მელიამ აღნიშნა, სამართალდამცველმა განაცხადა, რომ არჩევნების დღეს გლდანში მომხდარ ინციდენტში მონაწილეებს „სათამაშო იარაღი ეჭირათ“, რაც, მისი თქმით, არარეალურია.

დავით მჟავიას „ევროპული საქართველოს“ წევრმა სერგო რატიანმაც მიმართა და უთხრა, რომ ის მოძალადეებს ემსახურება.

– ქვეყანას ვიცავ და ვემსახურები პატიოსნად, – აღნიშნა მჟავიამ, რომელსაც ასევე მიმართა ოპოზიციის კიდევ ერთმა წევრმა გურამ ჩალაგაშვილმა.

– რას ემსახურები? შენ ის არ ხარ, გვარებით რომ იჭერ ადამიანებს? – აღნიშნა ჩალაგაშვილმა.

მჟავიამ ჩალაგაშვილს პროვოკატორი უწოდა.

ახმეტელის მეტროსთან მომხდარი დაპირისპირების შემდეგ ოპოზიციის წევრებმა ნიკა მელიას შტაბში გადაინაცვლეს.

❖ ❖ ❖

მომხდარზე კომენტარი გააკეთა „ქართული ოცნების“ წევრმა ანრი ოხანაშვილმა.

– მინდა გამოვეხმაურო იმ ფაქტს, რაც დღეს მოხდა და რასაც ალბათ კიდევ ბევრჯერ იკადრებს კრიმინალი ნიკანორ მელია და მადლობა გადავუხადო თითოეულ პოლიციელს, რომელმაც გლდანში ამ კრიმინალის შეურაცხყოფა აიტანა.

ეს რომ ყოფილიყო მათი დრო, ეს მოქალაქე, მელია, უკვე იჯდებოდა ციხეში. ამიტომ, ამ კრიმინალმა პატივი სცეს პოლიციელის მუნდირს, დაიცვას კანონი, რაც სურს, ის მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში განახორციელოს. იმას ხელს არავინ შეუშლის, ჩვენ დავიცავთ მის უფლებებს, მაგრამ როგორც კი გადავა ზღვარს, რა თქმა უნდა, იქნება ადეკვატური რეაგირება, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

ელენე ხოშტარია: „ვაკის ოლქში 3.989 ბათილი ბიულეტენია, ძალიან მაღალი მაჩვენებელია“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის ელენე ხოშტარიას ინფორმაციით, ვაკის ოლქში 299 ბიულეტენია გამქრალი.

ელენე ხოშტარიას თქმით, აღმოჩენილია გაყალბებული ხელმოწერაც.

– საგანგაშოა ბათილების რაოდენობა, ვაკის ოლქში 3.989 ბათილი ბიულეტენია, რაც უბანზე საშუალოდ არის 50 ბათილი, ეს არის ძალიან მაღალი მაჩვენებელი, 7% გამოდის, რაც უჩვეულოა. ამასთან, გვაქვს ინფორმაცია, რომ ამას ჰქონდა კამპანიური ხასიათი, სპეციალურად არ აწერდნენ ხელს ან არ ურტყამდნენ ბეჭედს ისეთ ბიულეტენს, როცა ცნობდნენ ოპოზიციონერებს.

აღმოჩენილია გაყალბებული ხელმოწერა ჩვენი ორი წარმომადგენლის შესწორების ოქმზე. ჩვენი ორი წარმომადგენელი უარყოფს, რომ იქ ფიზიკურად იყვნენ და მათ ნაცვლად მოაწერეს ხელი შესწორების ოქმზე. მას შემდეგ რაც უთხრეს, რომ ისინი ფიზიკურად იქ არ ყოფილან, პასუხად მიიღეს, რომ არ შეაწუხეს და მათ მაგივრად მოაწერეს ხელი. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

ელენე ხოშტარიას თქმით, საარჩევნო უბნებზე ე.წ. სომხური კარუსელის საფუძვლიანი ეჭვი არსებობს.

– საგანგაშო ციფრია, 299 ბიულეტენი არის გამქრალი. მათ შორის 1 უბნიდან 10-11-12-15 ბიულეტენია გამქრალი. ეს საფუძვლიანი ეჭვია ე.წ. სომხური კარუსელისა, – ამბობს ელენე ხოშტარია.

ბათუმის საოლქო კომისიასთან მინა ჩამოვარდა

დაშავდა 1 ადამიანი

გუშინ, 4 ნოემბერს, ბათუმში, 79-ე საოლქო საარჩევნო კომისიასთან ოპოზიციის წარმომადგენლები ოლქის შენობაში შესვლას ცდილობდნენ, როდესაც დაპირისპირებისას საოლქო საარჩევნო კომისიასთან მდებარე ერთ-ერთი კომერციული ფართის მინა დაზიანდა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, გიორგი კირთაძეს დაეცა.

მას დაზიანება თავის არეში აქვს მიყენებული.

– დაშავდა ოპოზიციის ლიდერი, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი კირთაძე, საბედნიეროდ, გადარჩა. ჩვენ არ გავჩერდებით, იმიტომ, რომ ხმებს იპარავენ, სიცოცხლის ფასად დავიცავთ ჩვენს უფლებებს. არ ვაპირებთ დაშლას, დაუყოვნებლივ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს, – განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ვისაც სურს „ქართულ ოცნებას“ სამარეში ჩაჰყვეს, პარლამენტშიც შეჰყვნენ“

დავით ჭიჭინაძე: „რიგგარეშე არჩევნებს კი არ ველოდები, არამედ ამ არჩევნების თავიდან ჩატარებას, რადგან ეს არჩევნები ხალხს მოპარეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, ერთი პარტიით დაკომპლექტებული პარლამენტი არ ვარგა, მაგრამ უკვე დარწმუნებული ვართ, რომ ეს ასე არ იქნება. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ოპოზიციიდან ვინმეს გაურიგდნენ და შეიყვანონ?

– როგორც ეს არჩევნები არის მითიური, ალბათ ასე მითიურად შეეცდებიან ვიღაცების გულის მოგებას. უკვე არის რაღაც მცდელობები ხმების მომატების. თუმცა, რა თქმა უნდა, თითოეული პოლიტიკოსისა და პარტიის გადასაწყვეტია, პარლამენტში შევა თუ არ შევა, მაგრამ პოლიტიკური ძალა და პოლიტიკოსი, რომელიც გაყალბებული არჩევნების თანამონაწილე ხდება, აუცილებლად იღებს ხოლმე საკადრის პასუხს თავად ამომრჩევლისგან, ამ ქვეყნის მოქალაქეებისგან. ეს არის კანონზომიერება და ამის მოწმენი არაერთხელ ვყოფილვართ ამ ქვეყანაში.

ვისაც სურს „ქართულ ოცნებას“ სამარეში ჩაჰყვეს, რასაკვირველია, ეს შეუძლიათ. შეუძლიათ პარლამენტშიც შეჰყვნენ, ხელი შეუწყონ გაყალბების „გაპრავებაში“. ყველაფერი შეუძლიათ, ეს მათი ნებაა. თუმცა, რაც გარეთ ხდება, როგორ ინგრევა ეკონომიკა, როგორ უფასურდება ლარი, რაც ხდება ჩვენი მოქალაქეების თავს დღეს, ამაზეც უნდა აიღონ „ოცნებასთან“ ერთად პასუხისმგებლობა. თუ ვინმე, ოპოზიციიდან კობახიძის ჭკუაზე სიარულს აპირებს, მე როგორ დავუშლი, მაგრამ კობახიძის ჭკუაზე დადის „ქართული ოცნება“ და ვნახეთ, სადამდეც მივიდნენ, უკვე ამომრჩევლის ნებაზე ძალადობენ.

– რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება? ელოდებით „ოცნების“ მხრიდან ასეთ გადაწყვეტილებას?

– რიგგარეშე არჩევნებს კი არ ველოდები, ამ არჩევნების თავიდან ჩატარებას ველოდები, რადგან ეს არჩევნები ხალხს მოპარეს. ამიტომ, ხალხს უფლება აქვს, თავისის ხმა დაიბრუნოს. ეს ხალხის ლეგიტიმური უფლებაა. ამ ქვეყანაში არაერთგზის გვინახავს არჩევნების მოპარვის მცდელობა როგორ სრულდება, ხალხი ყოველთვის იმარჯვებს ამ დროს. სხვათა შორის, კობახიძე არც ისე პატარაა, რომ ეს ისტორიები არ ახსოვდეს. თუ უნდა, რომ ქართველი ხალხის რისხვა საკუთარ თავზე გამოსცადოს, ეს სხვა ამბავია და აუცილებლად გამოცდის, ამაში დარწმუნებული ვარ.

– რა იქნება შემდეგ? როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– ოპოზიციამ, ჯამში, გაყალბების პირობებშიც უფრო მეტი ხმა აიღო, ვიდრე ხელისუფლებამ. ამიტომ, ახლა მათ მორალური ვალდებულება გააჩნიათ თავისი ამომრჩევლის წინაშე, რომ ეს ხმები ძალაუფლებად აქციონ. ტექნოლოგიურად როგორ ცდილობს „ქართული ოცნება“ ძალაუფლების შენარჩუნებას, ეს არავის არ აინტერესებს. ხალხს ამოსული აქვს ეს ყველაფერი, ადამიანები ცვლილებებისთვის და უკეთესი ცხოვრებისთვის იბრძვიან, ამის ნიშანი იყო ამ შიშის პირობებში ასეთი მაღალი აქტივობაც. აქედან გამომდინარე ცვლილებები გარდაუვალი იქნება. ეს აუცილებლად მოხდება. მოხდება ის, რაც ქართველ ხალხს, ამ ქვეყნის მოქალაქეებს სჭირდებათ.

როდესაც მთელი ქვეყანა საარჩევნო ოქმებში იყურება, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ არჩევნები ვერ შედგა. ხელისუფლებას იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ მან კარგად იცის, ხელისუფლების დაკარგვა პირდაპირ ციხეში წასვლის ტოლფასი იქნება, ამიტომ გვაქვს ის რეალობა რაც გვაქვს. ყველანაირი ხერხით, მანიპულაციით ცდილობენ დარჩნენ ხელისუფლებაში. ლეგიტიმურები იქნებიან თუ არ იქნებიან, ეს ნამდვილად არ ადარდებთ.

– როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილი აცნობიერებს, რომ ერთპარტიული პარლამენტი, თუ ვერ იპოვა ოპოზიცია, რომელსაც შეიყვანს, პრობლემა იქნება. თუ ის ფიქრობს, რომ მან არჩევნები მოიგო და მიზანს მიაღწია?

– ივანიშვილს კარგად ემახსოვრება კომუნისტების ეპოქა, მაგრამ ახლა სხვა დროა და ერთპარტიული პარლამენტით 21-ე საუკუნეში ფონს რომ ვერ გავა, ეს კარგად უნდა იცოდეს. დარწმუნებული ვარ, მან კარგად იცის ერთპარტიული პარლამენტები როგორ ამთავრებენ ცხოვრებას. ალბათ, ეყოფა გონიერება, რომ რაღაც გააკეთოს, შეცვალოს ეს რეალობა.

ის მარტო მოქმედებს, ისე ისე იღებს გადაწყვეტილებებს, რომ არანაირი კონტაქტი არ აქვს მმართველ გუნდთან, იმ პირებთან, რომლებიც რეალურად პასუხისმგებლები არიან. ამ ადამიანებს თანამდებობები უკავიათ. მთელი მთავრობა და მმართველი გუნდი ვირუსით არის დაინფიცირებული, გამოდის, პრემიერთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია, არც იმ პირთან, ვინც ქვეყნის ეკონომიკაზეა პასუხისმგებელი. ამ ადამიანს არ აინტერესებს მათი აზრი. ეს თანამდებობის პირები მხოლოდ ნომინალური ფიგურები არიან. ეს ამ ქვეყნის მოქალაქეების შეურაცხყოფაა, ძალიან რბილად რომ ვთქვა. აი, კობახიძესთან კი ნამდვილად მეგობრობს, მაგრამ კობახიძესთან მეგობრობამ იცის ქართველ ხალხთან მოწყვეტა, ცოტა ხანში ამას კიდევ უფრო მეტად მიხვდება.

მამუკა გიორგაძე: „სააკაშვილი ყოველთვის დესტრუქციულ როლს ასრულებდა“

„საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას არ შეუქმნია ნამდვილი დემოკრატიული ინსტიტუტები“

მარიამ მჭედლიშვილი

31 ოქტომბრის არჩევნების წინასწარი შედეგის თანახმად, ახალი მოწვევის პარლამენტში მოხვედრილი არც ერთი ოპოზიციური პარტია არ იღებს მანდატებს. ზღვარგადალახული და ზღვარგადაულახავი ოპოზიცია არჩევნების შედეგს აპროტესტებს და ხელახალ არჩევნებს მოითხოვს. მმართველი პარტია ხელახალ არჩევნებს არ აპირებს. ის აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანო მაინც იმუშავებს. ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.



– არჩევნების მეორე დღესვე გავრცელდა თქვენი შეფასება. ამბობდით, რომ მიმდინარე მოვლენები მართულია რუსეთის სპეცსამსახურების მიერ. მას შემდეგ პროცესები უფრო გამწვავდა. ისევ ამ აზრზე ხართ?

– რასაკვირველია, ისევ გავიმეორებ, რომ ის, რაც ხდება, მართვადი ქაოსია. საქართველოში არეულობა აწყობს რუსეთს. რუსეთის სპეცსამსახურებს დიდი გავლენა აქვთ ქართულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სპექტრზე.

– ამდენი ხალხი ასრულებს რუსეთის დავალებებს?

– სწორედაც რომ ასეა. გავიხსენოთ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების უახლესი ისტორია. ყველა ამ ქვეყანაში, ბალტიისპირეთისა და პოლონეთის ჩათვლით, მიიღეს ლუსტრაციის კანონი. ეს ერთდღიანი პროცესი არ ყოფილა. ამას დასჭირდა რამდენიმე წელი, ასევე რამდენიმე თანამდებობის პირის გათავისუფლება. პრეტენზიებს უყენებდნენ ვალენსასაც. საქართველოში ეს პროცესი არც კი დაწყებულა.

– ლუსტრაციის კანონის მიღებას და რუსეთის აგენტურის გამოვლენას გულისხმობთ?

– ცხადია. ეს არ გააკეთა არც გამსახურდიამ, არც შევარდნაძემ, არც სააკაშვილმა, არც დღევანდელმა ხელისუფლებამ. ჩვენ არც საბჭოთა წარსული შეგვიფასებია.

– სააკაშვილის დროს აიკრძალა საბჭოთა სიმბოლიკა.

– საქმეც ეგაა, რომ ეს იყო გარეგნული მხარე, წყალწყალა განცხადება და ფარატინა ქაღალდი. მთავარი ნამგალი და ურო კი არ არის, მთავარი შინაარსია. რუსეთში რომ ორთავიანი არწივი წითელი ვარსკვლავით შეიცვალა, ამით მოსკოვს თავის იმპერიულ ზრახვებზე კი არ უთქვამს უარი! ჩვენ თუ ქუჩებს კომუნისტების სახელები გადავარქვით, ბოლშევიზმი კი დავტოვეთ. ლიტვაში შარშან დასრულდა ერთი სასამართლო პროცესი. ამის შედეგად გასამართლდნენ და დაისაჯნენ ის პირები, რომლებმაც დაარბიეს მშვიდობიანი პროტესტანტები. ჩვენი 9 აპრილის მსგავსი ტრაგედია ლიტვაში მაშინ იანვარში მოხდა და დამნაშავეებს დაგვიანებით აგებინეს პასუხი. ჩვენ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები არც კი გამოგვიძიებია.

– ჩვენ დავეყრდენით ძველ გამოძიებას?

– დიახ. საბჭოთა გამოძიებას. არადა, ესეც გამოსაძიებელი იყო, ბევრი სხვა რამეც. მაგალითად, მერაბ კოსტავა ავარიაში ბუნებრივად დაიღუპა თუ ვინმემ ეს წინასწარ დაგეგმა; ვინ მოკლა გია ჭანტურია; ვინ გაიმეტა ზვიად გამსახურდია. ამის გარდა, არ გამოგვირკვევია აფხაზეთის ჩამოცილების გარემოებები და 2008 წლის ომის დეტალები.

– დღევანდელი მოვლენები იმის ბრალია, რომ სპექტრი ლუსტრირებული არ არის?

– რასაკვირველია. რუსეთი ერევა საქართველოს მოვლენებში, საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას არ შეუქმნია ნამდვილი დემოკრატიული ინსტიტუტები, არ ჩაუტარებია ნორმალური და თავისუფალი არჩევნები. თვითმმართველობა დღემდე არ გვაქვს. 30 წელიწადია ამ დღეში ვართ. იმედს ვამყარებთ არა ინსტიტუტებზე, არამედ, გადამრჩენლებზე. 21-ე საუკუნეში ბელადებს ვეძებთ და ვეთაყვანებით. რანაირად ვართ დემოკრატიული ქვეყანა?! ჩვენ რუსეთის სისტემასთან უფრო ახლოს ვართ: იქაც ბელადები, კლანები და კორუფციაა. ინსტიტუტები არ მუშაობს. არის არასახელმწიფოებრივი მიდგომა და იმპერიული ინტერესების დაკმაყოფილება.

– ოპოზიცია უარს ამბობს სადეპუტატო მანდატებზე, პროტესტი გრძელდება. ეს რისი მომასწავებელია?

– მიდის დავა არა ქვეყნისთვის სასიცოცხლო ფუნდამენტურ საკითხებზე, არამედ იმაზე, შევა ვიღაც პარლამენტში თუ არა. „შენ ჩემზე ცუდი“ ხარ“ – ამაზეა კინკლაობა. გენიალურ „ყვარყვარე თუთაბერში“ არის ასეთი სიტყვები: „მეც ვისწავლი ლამაზად ლაპარაკს და მერე მიფრთხილდითო“. ამათ პოლიტიკა ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი და პოლიტიკური სპექტაკლები ჰგონიათ. მთავარი ისაა, პარლამენტში თუ შეხვალ, რას გააკეთებ! ამ კინკლაობაში და უაზრობაზე ყურადღების გადატანაში ხელიდან გვეცლება სახელმწიფო. დააკვირდით, რას აპროტესტებს ოპოზიცია! ის დავობს იმ შედეგზე, რაც დაიდო ეგზიტპოლების დროს.

– ახლანდელი მართვადი ქაოსის ამოცანა რა შეიძლება იყოს?

– ქაოსს იყენებდა საქართველოს ყველა ხელისუფლება. იმის მაგივრად, რომ შეექმნათ პოლიტიკური ინფრასტრუქტურა, სტრუქტურები, დემოკრატია, აღვიევბდნენ ქაოსს. ქაოსი ემოციებისა და დრამების გარეშე არ გამოდის.

– ოპოზიციის როლი როგორია ამ ყველაფერში?

– მხარის გარეშე ქაოსი ვერ წარმოიშობა. ოპოზიცია თამაშობს სპარინგ-პატნიორის როლს. თუ რუსეთიდან წამოვა გადაბარების დაკვეთა, როგორც შევარდნაძემ გადააბარა ხელისუფლება სააკაშვილს, მაშინ, სცენარი შეიცვლება და დაწყნარდება. მონაწილე მხარეები დაკმაყოფილდებიან, ხალხი კი კიდევ ერთხელ დარჩება გაბითურებული.

– მოსახლეობის ნაწილს არ სჯერა, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთის მოწინააღმდეგეები და კონკურენტები არიან.

– ბევრი მაინც ტყუვდება. ამ არჩევნების დროს დაირღვა კანონმდებლობა – სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ერეოდა საარჩევნო პროცესში. იყო საფუძველი, რომ ამის გამო მიეღოთ ზომები და ნაციონალური მოძრაობა მოეხსნათ არჩევნებიდან. არათუ ეს არ გაკეთებულა, ხელისუფლებამ სააკაშვილს და ნაცმოძრაობას მაქსიმალური გასაქანი მისცა. მოხდა ასევე ერთი შემაძრწუნებელი ფაქტი – ციხეში სცემეს პატიმარ გიორგი რურუას. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვარ თუ არა მისი მომხრე. პატიმრობა გამოვლილი მაქვს. პატიმრის გალახვა საშინელებაა. როცა სახელმწიფო ერთ პატიმარს აცემინებს მეორეს, ეს არის სახელმწიფოს დეგრადაცია.

– ეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა?

– ცხადია. პენიტენციური სისტემა არის სახელმწიფოს გამგებლობაში. თუ სახელმწიფო ვერ იცავს პატიმარს, მით უფრო ვერ დაიცავს გარეთ მყოფებს. გაგვაოგნა პროკურატურამ – იმის გამო, რომ ნიკა მელიამ სამაჯური მოიხსნა, მას მოუხსნეს სამაჯურის ტარების ვალდებულება.

– სააკაშვილი ახლაც აქტიურობს. როგორია მისი როლი?

– სააკაშვილი ყოველთვის ასრულებდა დესტრუქციულ როლს და ცდილობდა ნახევარსიმართლით სწორი გზის გადაფარვას. სააკაშვილმა დაირქვა პროდასავლელის სახელი, ბოლოს კი იქამდე მივიდა, რომ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობილებები დანერგა. მან უზრუნველყო, რომ რუსეთს სამართლებრივად და პოლიტიკურად გაელახა საქართველო. ინსტიტუციები არც სააკაშვილს აუშენებია. იუსტიციის სახლს რომ გვაყვედრიან, ასეთი სახლები ცენტრალური აზიის ქვეყნებშიც არის. გზის გაყვანა და სახლების მშენებლობა კი დემოკრატია არ არის. პატრულს აცვია კარგი ფორმა, ჰყავს ნორმალური ტრანსპორტი, ის ხშირად ზრდილობიანად საუბრობს, მაგრამ ვერ მოხდა მთავარი – მისი დეპოლიტიზაცია. პოლიციას იყენებენ პოლიტიკურად, ის არის სადამსჯელო იარაღი.

საბჭოთა კავშირის დანგრევა იმისთვის გვინდოდა, რომ სხვანაირი, დემოკრატიული და რუსეთისაგან თავისუფალი სახელმწიფო გვქონოდა. დღევანდელი საქართველო ჩარჩა საბჭოთა სისტემაში. სანამ პოლიტიკურ ველზე არ გააქტიურდებიან დამოუკიდებელი და ლუსტრაციის მომხრე ძალები, არც ნორმალური არჩევნები ჩატარდება და არც დასავლური დემოკრატია შემოვა. ლიბერალიზმი და ულტრალიბერალიზმი პროდასავლურობას არ ნიშნავს. ჯერ კიდევ რუსეთის მეფის დროს ავითარებდნენ თეორიას იმის შესახებ, რომ რუსეთის ტახტის გადასარჩენად საჭიროა ლიბერალიზმის ხელშეწყობა. რუსეთი დღესაც მიჰყვება ამ ხაზს.

ხაშურის მერ გურასპაშვილს „ოცნების“ კანდიდატმა დუგლაძემ სცემა

ხაშურში მცხოვრებლები და ოპოზიციის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ „ქართული ოცნების“ შტაბში მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი გურასპაშვილს, „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატმა, ზაალ დუგლაძემ, სცემა.

– ყველამ ვიცით ხაშურის რაიონში, რომ გურასპაშვილს კარგად მოხვდა „ოცნების“ ოფისში. კამათის მიზეზი გახდა ის, რომ დუგლაძემ ვერ გადალახა 50%-იანი ბარიერი. პირადად ჩემი წარმომადგენელი შეესწრო ამ ყველაფერს, როცა დადიოდა დუგლაძე ხალხთან, ყველა ლანძღავდა – ეს არის კაცი, რომელიც ყველას სძულს. რაც დათესა, სწორედ ის მოიმკო „ქართულმა ოცნებამ“, – ამბობს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენელი ხათუნა გელაშვილი.

ამასთან, როგორც „მთავართან“ ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტი ზაზა მეხრიშვილი ყვება, გურასპაშვილი მაჟორიტარობის კანდიდატს ხმების მოპოვებას ჰპირდებოდა, თუმცა არჩევნების შედეგმა ეს ვერ აჩვენა.

ზაალ დუგლაძეს და გიორგი გურასპაშვილს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

პაატა დავითაია: „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 10-12% მოიპარა“

„ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პაატა დავითაია პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, რა ხდება, რა ჩაიდინა ასეთი „ქართულმა ოცნებამ“, სრულიად ოპოზიცია რომ განუდგა?

– დეტალურად ყველა დარღვევაზე რომ არ დავიწყო საუბარი, ძირითადი თემა, რა თქმა უნდა, იყო ფულის დარიგება, ეს იყო მანიპულაციები ოქმებთან დაკავშირებით, ეს იყო ე.წ. ძველი ბიჭების მოქმედება. ყველაზე მასშტაბური თემა იყო ოქმები, რომელიც მთელმა საქართველომ ნახა. რეალურად, როგორც ვატყობ, ბოლო ხელისუფლებამ, უხეშად რომ ვთქვათ, 10-12% მოიპარა, ოპოზიციის ხარჯზე. მოიპარა ოქმებით. არა ხმების ჩაყრით და მსგავსი მანიპულაციებით, არა, პირდაპირ ოქმებში გადაასწორა და დაწერა ის, რაც მას აწყობდა.

– ეს როგორ შეძლეს, ოპოზიციის წარმომადგენლებიც ხომ იყვნენ უბნებზე?

– ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება აკონტროლებდა ოპოზიციის წარმომადგენლებსაც უბნებზე. ან იყიდა ეს ხალხი, ან არ ვიცი, რა გზით მოისყიდა.

– დღევანდელ მოცემულობას როგორ აფასებთ. ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმში გადავიდა, მეორე ტურში მონაწილეობას არ აპირებს და არც პარლამენტში შედის. თუმცა არის მოსაზრება, რომ ივანიშვილი შეძლებს ოპოზიციის ნაწილის მოსყიდვას და შეიყვანს პარლამენტშიო. თქვენ რას იტყვით? არის ერთსულოვნება ოპოზიციაში?

– ჩვენ მოვაწერეთ ხელი დოკუმენტს, სადაც პარტიებმა, რომლებმაც გადალახეს ბარიერი და მოიპოვეს მანდატები, იმ პარტიებმა უარი განაცხადეს პარლამენტში შესვლაზე. ჩემმა პარტიამ ბარიერი გადალახა, მაგრამ რადგან ჩვენ თავიდანვე უარი ვთქვით სიაზე, არც მანდატები გვაქვს.

– რატომ თქვით უარი?

– როცა სია დგებოდა, პოლიტიკური პასუხისმგებლობა მაგ სიაზე არ ავიღე. ძალა ერთობაშიას სიაში მე არ ვყოფილვარ. როცა ეს სია დგებოდა, პასუხისმგებელი პირი და ხელმომწერი იყო ნაციონალური მოძრაობა. რა სიაც მათ წარმოადგინეს, მე მას მხარი არ დავუჭირე და უარიც ამიტომ ვთქვი. ამ სიის მიმართ ძალიან დიდი კრიტიკა იყო. ზუსტად ვიცოდი, რომ ასეთი კრიტიკა იქნებოდა და ამიტომ არ ავიღე პასუხისმგებლობა. მე საერთოდ უარი ვთქვი ამ სიაში ევროპელ დემოკრატების ყოფნაზე. გუშინ იყო ოპოზიციური პარტიების შეკრება და დოკუმენტს მოეწერა ხელი, რომ პარლამენტში შესვლაზე ყველა უარს ამბობს. ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

– რა მოლოდინი გაქვთ, მარტო შევა „პარლამენტში „ქართული ოცნება“?

– „ქართული ოცნება“ რომ შევა მარტო, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ასევე, პარლამენტის უფლებამოსილება იქნება ცნობილი. იმიტომ, რომ კანონმდებლობით არის ასე და „ოცნებას“ ყოფნის საამისოდ ხმები, რომ უფლებამოსილება ცნოს. მეორე ტურში ოპოზიცია არ მიდის და გამოდის, რომ „ოცნებას“ ეყოლება 90 დეპუტატი.

– ყველა მაჟორიტარს „ოცნება“ წაიღებს?

– რა თქმა უნდა. 90 დეპუტატი ეყოლება.

– რას მიაღწევს ამით ოპოზიცია?

– აქ არის ერთი თემა, თუ ერთი პარტია დარჩა პარლამენტში, უფლებამოსილების ცნობის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში, პარლამენტის დათხოვა არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია. გამორიცხულია, ერთპარტიული პარლამენტი ვერ იქნება. ამიტომ, ეს 6 თვის შემდეგ მოხდება.

– ანუ, აიძულებთ, რომ 6 თვის შემდეგ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს?

– რა თქმა უნდა, მოუწევთ ვადამდელის ჩატარება. ერთპარტიული პარლამენტით ვერსად გამოყოფენ თავს. ძალიან დიდი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდებიან. აუცილებლად მოუწევთ ვადამდელის ჩატარება. ვადამდელი არჩევნები მოუწევს 6 თვის შემდეგ. თუმცა, ჩემი აზრი ასეთია, რადგან 2021 წელი მოდის, იცით, რომ 2021-ში თვითმმართველობის არჩევნებია.

– და მასთან ერთად ჩატარდება ვადამდელი საპარლამენტოც?

– დიდი ალბათობით ასე იქნება.

– დარწმუნებული ხართ, რომ ოპოზიციიდან არავინ „გაუპრავებს“ „ოცნებას“ და შეეყვება პარლამენტში?

– რა გითხრათ, პოლიტიკური შეთანხმება მოხდა, პარტიულმა ლიდერებმა პოზიცია დააფიქსირეს, ხელიც მოაწერეს და ვინმე თუ ცალკე შევა, ეს უკვე აღარ ვიცი.

– ეს არის მიშა სააკაშვილის დაკვეთა და დღეს ოპოზიცია წამოეგო მის ანკესზე და სრულიად ოპოზიცია მის თამაშს თამაშობსო. აი ასეთი შეფასებებიც ისმის, ამაზე რას იტყვით?

– ეს არაა სწორი. ყველაზე ბოლომ განცხადება, რომ პარლამენტში არ შევიდოდა, გააკეთა ძალა ერთობაშიამ, მანამდე სხვა პარტიებმა თქვეს და ეს როგორაა მიშას თამაში?! ვერ იქნება ვერანაირად. რა, პატრიოტთა ალიანსმა მიშას თამაში ითამაშა?!

– არადა, პატრიოტთა ალიანსი ყოველთვის „ოცნების“ სატელიტ პარტიად მოიაზრებოდა. ასე ყველა ერთიანად როგორ განუდგა?

– როდესაც ყველა უკმაყოფილოა, დგება ეს შედეგი. როდესაც ყველას პარავ, ეს უკან შემოგიბრუნდება. ვინც ეს გააკეთა, იმას ცოტა ჭკუა უნდა ჰქონოდა.

– აქციები გაგრძელება, თუ რას აპირებთ?

– გაგრძელდება კონსულტაციები პარტიებში, ვნახოთ, როგორი გადაწყვეტილება იქნება. ბოლოს ვიტყვი ერთს, რომ ვადამდელი არჩევნები არის გარდაუვალი. აუცილებელი არაა საპროტესტო აქციები. უაქციოდაც დამარცხებულია „ქართული ოცნება“, როცა მარტო რჩება პარლამენტში. „ოცნებას“ ვტოვებთ მარტო პარლამენტში და ეს არის ამ ეტაპისთვის საბოლოო გადაწყვეტილება. ამას ხელი ყველამ მოაწერა.

„ჩემს უბანზე ხმა 18 კაცმა მივეცით, ცესკომ ნული დაგვიწერა“

ჯონდი ბაღათურია: „არჩევნები გაყალბდა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.

– ბატონო ჯონდი, თქვენ როგორ აფასებთ ჩატარებულ არჩევნებს?

– არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. ბიულეტენები დათვლის დროს მოიპარეს. დათვლის დროს ჩვენი ბიულეტენები გადაანაწილეს „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის ყუთებში. პროპორცია ჩემთვის ცნობილი არ არის, მაგრამ „ოცნებამ“ მიითვისა უფრო მეტი, ვიდრე ნაცმოძრაობას გაუყოფდა.

– ნამოძრაობაც რომ ამბობს, არჩევნები გაყალბდაო?

– ნაცმოძრაობა სწორად ამბობს, გაყალბდა.

– თუ ნაცმოძრაობის სასარგებლოდაც გაყალბდა, თუ ბიულეტენები გაუყვეს, მაშინ ნაცების განცხადებები გაყალბებაზე როგორ გავიგოთ?

– ნაცმოძრაობას ცოტა გაუყვეს. ჩვენ რომ დავიანგარიშეთ, „ქართული დასისთვის“ საშუალოდ მინიმუმ 8 ხმა მაინც აქვთ მოპარული თითო უბანზე. ეს დაახლოებით 32 ათასი ხმაა „ქართული დასის“ მიერ აღებული და შემდეგ გადანაწილებული. სავარაუდოდ, ყოველი 10 ხმიდან 2-3 ხმას მისცემდნენ ნაცმოძრაობას, დანარჩენს თვითონ მიითვისებდნენ.

– ანუ თქვენი მონაცემებით, თქვენ ბარიერი გადალახეთ?

– რა თქმა უნდა. ამაში ეჭვიც არ არის. მინიმუმ 30-32 ათასი ხმა მოგვპარეს, რაც ორი გარანტირებული მანდატია.

– რით შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ გაგიყალბეს? გაქვთ თუ არა რაიმე ხელჩასაჭიდი?

– ძალიან ბევრ უბანზე, ადამიანები, რომლებიც მივიდნენ და ხმა მისცეს საკუთარ თავს, რადგან იქ იყვნენ მაჟორიტარები „ქართული დასიდან“, ან იყვნენ სიის წევრები, მათ საარჩევნო უბანზე წერია 0. მაგალითად, მთაწმინდის მაჟორიტარი თავის ოჯახთან და მეგობრებთან ერთად (ოჯახის 5 წევრი მივიდა 3 მეგობართან ერთად) ნული წერია, ანუ დანამდვილებით ვიცით, რომ იმ უბანზე 8 ხმა უნდა იყოს დაფიქსირებული. მეზობლებმა, ნათესავებმა და სხვებმაც მოგვცეს ხმა. პარტიის წევრმაც ხმა თვითონ თავის თავს რომ მისცა, იქ ნული წერია.

მე სადაც მივეცი ხმა (18-ნი რომ მივედით – მე, ჩემი შვილები, მათი მეგობრები, რამდენიმე ოჯახი ერთად) ჩემს ოჯახთან და მეგობრებთან ერთად და მინიმუმ 18 ხმა უნდა ყოფილიყო, ნული წერია, ჩემი ხმაც გააყალბეს. ბიულეტენები გადააკეთეს.

პარტიული სიის მე-4 ნომერი, რომელიც აქედან ხმის მისაცემად ბათუმში წავიდა (ბათუმში იყო ჩაწერილი), უბანზე, სადაც სხვებთან ერთად მივიდა, უწერია ნული. იგივე მოხდა გლდანსა და ნაძალადევში. ჩვენ გვაქვს რამდენიმე ათეული მტკიცებულება, სადაც ადამიანები მზად არიან, მისცენ ჩვენება, რომ მათ ხმა მისცეს „ქართულ დასს“.

– საოცარია, მაგრამ „ოცნებაც“ ამბობს, რომ მაგალითად, სამგორში მათ 200 ხმა ჰქონდათ დაკლებული და არსებობს მექანიკური შეცდომები. შეიძლება ვთქვათ, რომ საარჩევნო კომისიამ არჩევნების ნორმალურად ჩატარება ვერ უზრუნველყო?

– დავეთანხმოთ „ქართულ ოცნებას“, დავარქვათ შეცდომით გაყალბებული და არჩევნები განმეორებით ჩატარდეს. თუ „ოცნებაც“ იგივეს ამბობს, მაშინ სადავო რა გვაქვს? „ქართული ოცნების“ ლიდერებმა პოლიტიკური ჩიხი ხელოვნურად შექმნეს. ამ ჩიხიდან გამოსავალია განმეორებითი არჩევნები. სხვა გამოსავალი არ არის.

– ცესკოს თავმჯდომარემ განაცხადა, ასეთი შეცდომები არის და ვასწორებთ მიუხედავად იმისა, საჩივარი არის თუ არა დაწერილიო.

– იქ, სადაც მე საკუთარ თავს ხმა მივეცი და ნული დამიწერეს, 18 ხმის ნაცვლად ნული დაწერეს, მერე, როცა ამბავი ატყდა, ექვსად გადააკეთეს, თანახმა ვართ, გადააკეთონ. ჩვენ პროცენტნახევარი მივიღეთ და მინიმუმ ორი მანდატი გვეკუთვნის. მაშინ დაგვიწერონ პროცენტნახევარი. ეს დამაჯერებელი იქნება?!

– თქვენ თუ შეიტანეთ საჩივრები?

– ჩვენ საჩივრები როგორ უნდა შეგვეტანა. ჯერ ერთი, საჩივრის აზრი რა არის.

– როდესაც დარწმუნებული ხართ, რომ გაყალბდა, ალბათ, უნდა იჩივლოთ კიდეც.

– მაშინ 3700 უბანზე 3700 საჩივარი უნდა შეიტანო და უნდა გყავდეს 2700 კაცი, რომელსაც ანაზღაურებას მისცემ. ამის რესურსი რომ ყოფილიყო, კომისიის წევრები და დამკვირვებლები გვეყოლებოდა. ასე უხეშადაც ვერ მოგვექცეოდნენ. ხმების გაყალბება ხდება კომისიის წევრებს შორის.

ხმები გადაუნაწილდათ „ქართულ ოცნებას“, ნაცმოძრაობასა და ევროპულ საქართველოს. ოქმებზე სწორედ მათ აქვთ ხელი მოწერილი, რადგან მათ მიითვისეს იმ პარტიების ხმები, რომლებსაც დამკვირვებლები არ გვყავდა. დაახლოებით 7-8% ჩვენისთანა პარტიების ხარჯზე აქვთ მითვისებული „ქართულ ოცნებას“ და გაყოფილი აქვს ნაცმოძრაობისა და ევროპული საქართველოსთვის.

– ნაცმოძრაობისა და ევრონაცების მიზანი იყო არჩევნებში გამარჯვება და ხელისუფლებაში მოსვლა. ამიტომ ჩივიან?

– არასწორად აფასებთ, მათ გამარჯვების შანსი არ ჰქონდათ. ოპოზიცია ფიქრობდა, რომ ჯამში უფრო მეტ ხმებს აიღებდა, ვიდრე „ქართული ოცნება“ და შემდგომში უნდა მომხდარიყო შეთანხმება კოალიციაზე. ეს იყო ნაცმოძრაობისა და ყველა სხვა პარტიის მიზანი, მაგრამ ადგილზე საარჩევნო კომისიებში ხმების გაყოფა მოხდა.

ფაქტია, რომ ჩვენი ხმები იქნა გადანაწილებული. დამაჯერებლად არ ჩანს, რომ ჩვენი ხმები მხოლოდ „ოცნებამ“ წაიღო, რადგან მაშინ ნაცმოძრაობის კომისიის წევრები ოქმზე ხელს არ მოაწერდნენ. მე ასე ვფიქრობ. შეიძლება სადღაც გაეპარათ და „ოცნების“ ხმებიც სხვებს მიაწერეს,

მაგრამ როდესაც 3700 უბნის ოქმებზე ხელი აქვს მოწერილი ნაცმოძრაობასა და „ევროპულ საქართველოს“, ე.ი. ხმები მათაც გაუყვეს.

– მაშინ ახლა რატომ ყვირიან, ჩვენ ვიმარჯვებდით და გაგვიყალბესო. ეს ვეღარ გავიგე.

– არჩევნები რომ გაყალბდა, ამას სწორად ამბობენ. რას ჰქვია, რატომ ყვირიან, არჩევნები გაყალბდა და გაყოფის შედეგებით კმაყოფილი არ არიან. ნაცებს ხმებს თანაბრად ხომ არ გაუნაწილებდნენ. „ოცნებას“ კომისიაში 10-12 წევრი ჰყავდა. ცხადია, პროპორცია „ოცნების“ სასარგებლოდ იქნებოდა. პირობითად, „ქართული დასის“ ყოველი 10 ხმიდან, 7 ხმას წაიღებდა „ოცნება“, შესაძლოა 1 ხმა რგებოდა ევრონაცებს, ორი ხმა – ნაცმოძრაობას.

ცხადია, „ოცნებამ“ მეტი ხმები მიითვისა, მაგრამ მაინც გაუყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია, 3700-ვე საარჩევნო უბნის ოქმებზე რატომ არის ნაცმოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ კომისიის წევრების ხელმოწერები. „ქართული დასის“ დაახლოებით 32 ათასი ხმა არის მოპარული. სად წავიდა, მარტო „ოცნებამ“ მიითვისა? მაშინ ნაცებმა და ევრონაცებმა ხელი რატომ მოუწერეს?!

– ყველა ამბობს (მათ შორის, პატარა და ახალი პარტიებიც), გაგვიყალბესო, მაშინ უფრო დიდი ციფრი არ უნდა ყოფილიყო იგივე „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის?

– კაცმა რომ არ იცის, ისეთ პარტიებს ნუ შეადარებთ „ქართულ დასს“, ჩვენგან 32 ათასი წაიღეს, სხვა პარტიებიდანაც მიითვისეს. არსებობენ პარტიები, რომლებსაც, ალბათ, ხმები, საერთოდ, არ აუღიათ. თუმცა, ისინიც ამბობენ, რომ გაყალბდა. ძალიან კარგია, რომ ამბობენ, გაყალბდაო. არჩევნების შედეგების მიმართ დამაჯერებლობა რომ იყოს, არჩევნები განმეორებით უნდა ჩატარდეს.

– არჩევნების განმეორებით ჩატარებისთვის ბიუჯეტიდან ფული ისევ უნდა გამოიყოს?

– თქვენ იმ ფულზე ლაპარაკობთ, რასაც „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის წევრები – პარლამენტში მილიონერები რომ ჰყავთ, ერთ გასვლაზე ხარჯავენ. არა უშავს, ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს იმდენი ფული, რამდენიც არჩევნების ჩასატარებლად საჭიროა. ეს არ არის დიდი ფული.

– თუმცა, „ოცნება“ ამბობს (თუ პარტიები არ აღიარებენ არჩევნებს და არ შემოვლენ პარლამენტში), იმდენი ხმა მიიღო, სრული უფლება აქვს, პარლამენტმა ფუნქციონირება დაიწყოსო. როგორ შეიძლება მიაღწიონ ოპოზიციურმა პარტიებმა განმეორებით არჩევნებს?

– „ქართულ ოცნებას“ 40%-ზე მეტი არ აუღია. 8-10% მითვისებულია იმ პარტიების ხარჯზე, რომლებსაც კომისიაში წარმომადგენლები არ გვყავდა.

– და არა ნაცმოძრაობის ხმები?

– ნაცმოძრაობას ხმებს ვერ წაართმევდნენ. მაშინ ისინი ხელს არ მოუწერდნენ, მაგრამ თვითონ „ოცნებამ“ მეტი წაიღო და ხმების მიმატებით შედეგებში უფრო მეტი განსხვავება მისცა ნაცმოძრაობის ხმებთან შედარებით. ამიტომ აპროტესტებს ნაცმოძრაობა.

– არჩევნების სწორად ჩატარების შემთხვევაში ნაცმოძრაობა, რეალურად, რამდენს აიღებდა?

– მარჩიელობას ხომ არ დავიწყებთ, რამდენს აიღებდა. ნორმალურ საარჩევნო გარემოში, სადაც დაახლოებით ერთნაირი წვდომა გვექნებოდა მედიარესურსებთან და ფინანსურ რესურსებთან, ნაცმოძრაობისა და „ოცნების“ ხმები ორჯერ უფრო ნაკლები იქნებოდა. გაცილებით წარმატებული ვიქნებოდით ჩვენ, „ქართული დასი“ და ეროვნულ პლატფორმაზე მდგომი პარტიები.

საზოგადოებრივი აზრის გაყალბება დაიწყო უთანაბრო საარჩევნო გარემოთი, რომელიც კოორდინირებულად შექმნეს „ოცნებამ“ და ნაცმოძრაობამ. კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ხმების დათვლისას ჩვენი ხმები მიითვისეს. პირველ რიგში, მიითვისა „ოცნებამ“, მაგრამ რადგან ნაცები და ევრონაცები აწერენ ხელს, სავარაუდოდ, მათაც გაუყვეს ხმები.

– განმეორებითი არჩევნების დანიშვნას ოპოზიცია როგორ მიაღწევს?

– თუ პარტიები, რომლებიც დიდი რიხით გამოდიან და სრულიად სამართლიანად აცხადებენ, არჩევნები გაყალბდა და პარლამენტში არ შევლენ, ასეთ შემთხვევაში პარლამენტი ლეგიტიმური არ იქნება. იქნება პოლიტიკური ჩიხი, საიდანაც გამოსვლა შეიძლება განმეორებითი არჩევნებით, მაგალითად, გაზაფხულზე. მეორე მხრივ, უფრო უარესია „ოცნებისა“ და ქვეყნისთვის, თუ ნაცები პარლამენტში შევლენ.

„ოცნებას“ პირველ ოცეულში ჰყავს აბსოლუტურად გამოუცდელი ადამიანები, ტექნოკრატებია. ისინი პოლიტიკურად გამოუცდელები არიან. ნაცმოძრაობა პარლამენტში მათ გადაყლაპავს. წინა პარლამენტში ნაცმოძრაობას 6 კაცი ჰყავდა, ახლა 30 კაცი ეყოლება. ერთმა მელიამ მთელი პარლამენტი თავზე წამოიმხო, არც ერთი ნიუსის ნიუსმეიკერი „ოცნება“ არ ყოფილა, ყოველთვის თავდაცვის რეჟიმში იყო. წარმოიდგინეთ, ახლა რა იქნება, ამათაც დაამხობენ და ქვეყანასაც.

– უცხოელმა დამკვირვებლებმა რომ აღიარეს და ამერიკის საელჩოს განცხადებაც იყო. ამას რას მიაწერთ?

– მათი შეფასება გაკეთდა იმის მიხედვით, რაც გარეგნულად ჩანდა, რომ ვთქვათ, ძალადობა, დაშინება არ იყო. ისინი წერენ, რომ ეს იმ რაოდენობით არ იყო, რომ შედეგები შეეცვალაო, მაგრამ ამერიკის ელჩი ერთია, ის ხმების დათვლის დროს 3700 უბანზე ხომ ვერ დაესწრებოდა.

– ბიულეტენები რომ გადაითვალოს?

– ბიულეტენები რომ გადაითვალოს, მინიმუმ 32 ათასი ბიულეტენი დაემატება ჩვენ მიერ აღებულ ხმებს.

„პოლიციელი, რომელიც გოგონებს დაეჯახა, გაქცეულა, მაგრამ მერე თვითონ ჩაბარებულა“

სალომე მთვარელიშვილის დაღუპვისთვის გამომძიებელი რ.მ. დააკავეს

საქართველოს პროკურატურამ გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი რ.მ. დააკავა.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 3 ნოემბერს გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე საკუთარი ავტომანქანით მოძრავი რ.მ. შეეჯახა მოპედს, რომელსაც 14 წლის სალომე მთვარელიშვილი მართავდა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მოპედის მძღოლი გარდაიცვალა, ხოლო მისი მგზავრი, 9 წლის მოზარდი მიღებული დაზიანებებით საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

„გამოძიების ფარგლებში ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, დაინიშნა სხვადასხვა სახის ექსპერტიზები, მათ შორის დაკავებული პირის სიმთვრალე-სიფხიზლის დადგენის მიზნით.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმ პირის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

შემთხვევა სოფელ ვაზისუბანში იმ დროს მოხდა, როდესაც დები მთვარელიშვილები მოპედით სეირნობდნენ.

გოგონები გურჯაანის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, მამა გრიგოლ მთვარელიშვილის შვილები არიან.

როგორც ოჯახის ახლობელი, უჩა ქემაშვილი „ამბებთან“ საუბარში აცხადებს, დაკავებული სამართალდამცავი, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

– უდიდესი ტრაგედია ტრიალებს მთელ სოფელში. მის ძმებს რომ ვუყურებდი, გული მეფუფქებოდა, ისეთი გამწარებით და ხმამაღლა ტიროდნენ. მამა გრიგოლი ისეთი ყურადღებიანი და თბილია ყველას მიმართ, ყველას იმედია, ამას ნამდვილად არ იმსახურებდა.

როგორც თვითმხილველებმა მითხრეს, გოგონები სეირნობდნენ სახლთან ახლოს, საავტომობილო გზაზე.

პირველმა ავტომობილმა მათ გვერდი აუარა, ხოლო ეს სამართალდამცავი შეეჯახა პირდაპირ. როგორც ამბობენ, მძღოლი არაფხიზელ მდგომარეობაში იყო. არც კი გაუჩერებია ავტომობილი თურმე, გაქცეულა მაშინვე.

ადგილობრივებმა გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა. სალომე ადგილზე გარდაცვლილი დახვდათ, მისი და კი თბილისში გადაიყვანეს და ახლა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, პოლიციელი მოგვიანებით თავად ჩაბარდაო, – ამბობს უჩა ქემაშვილი.

მარნეულში დედა-შვილი მოკლეს

დააკავეს მეზობელი მამა-შვილი

მარნეულის სოფელ ახლოლალოში დედა-შვილი მოკლეს. ახალგაზრდა ქალს და მის 22 წლის ბიჭს ჭრილობები ცეცხლსასროლი იარაღით აქვთ მიყენებული.

მკვლელობა, სავარაუდოდ, 3 ნოემბერს გვიან ღამით მოხდა. გარდაცვლილები პროზექტურაში არიან გადასვენებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მამა-შვილი 1982 წელს დაბადებული ა.რ. და 2004 წელს დაბადებული მ.რ. მარნეულში დააკავეს.

მათ ბრალი ორი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობაში ედებათ.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახლოლალოში, მეზობლად მცხოვრებ დედა-შვილს – 1981 წელს დაბადებულ ზ.ბ.-ს და 1997 წელს დაბადებულ ა.რ.-ს, წარსულში არსებული უთანხმოების ნიადაგზე, მათივე საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე, ცეცხლსასროლი იარაღებიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს.

პოლიციამ ორივე ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღები – სანადირო თოფები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

დამამძიმებელ გარემოებებში ორი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

* * *

ადგილობრივები მკვლელობის ფაქტზე დეტალებს ყვებიან.

როგორც მათ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, დედა-შვილი მათივე ახლო ნათესავმა, მამა-შვილმა მოკლა. კერძოდ, ერთ-ერთი ბრალდებული, 16 წლის მოზარდი და მოკლული გოგონა ბიძაშვილები იყვნენ. მეზობლების ინფორმაციით, ისინი გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ.

– საღამოს საათებში სროლის ხმა გავიგეთ და ადგილზე მოვედით. ეზოში ორი მოკლულის, დედა-შვილის ცხედარი ვნახეთ. მკვლელობის მოტივი ყველა ჩვენგანისთვის უცნობია, – აცხადებს ოჯახის ახლობელი.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, ნათესავებს შორის უთანხმოება არ ყოფილა.

– ორივე წყნარი ოჯახი იყო, ჩხუბის ხმაც კი არასდროს გაგვიგია. ყველა გაკვირვებული ვართ, – აღნიშნავს მეზობელი.

დაკავებულია 20 პირი, რომლებიც ათობით მილიონი ევროს გათეთრებას ცდილობდნენ

ევროპოლის მიერ კოორდინირებული საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის შედეგად, უპრეცედენტო საერთაშორისო საპოლიციო ოპერაცია 2BaGoldMule ჩატარდა.

ოპერაციაში ჩართული იყო 16 ქვეყნის სამართალდამცავი უწყება, დაკავებულ იქნა კრიმინალურ ქსელ QQAAZZ-ის 20 წევრი, რომლებიც მსოფლიოს წამყვანი კიბერდამნაშაववების დავალებით, ათობით მილიონი ევროს გათეთრებას ცდილობდნენ.

ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ოპერაციას წინ უძღოდა კომპლექსური გამოძიება პორტუგალიის, აშშ-ისა და ესპანეთის პოლიციის, ასევე, გაერთიანებული სამეფოს, საქართველოს, ლატვიის, ბულგარეთის, იტალიის, გერმანიის, შვეიცარიის, პოლონეთის, ჩეხეთის, ავსტრალიის, შვედეთის, ავსტრიისა და ბელგიის სამართალდამცავი უწყებების მიერ, ევროპოლის კოორდინაციით.

„გამოძიებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო.

დადგინდა, რომ QQAAZZ-ს ქსელს, რომლის წევრები იყვნენ ლატვიიდან, საქართველოდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და ბელგიიდან, ასობით კორპორატიული და პირადი საბანკო ანგარიში ჰქონდა გახსნილი მსოფლიოს მასშტაბით, სადაც ირიცხებოდა კიბერკრიმინალების მიერ მსხვერპლების ანგარიშებიდან მოპარული თანხა.

შემდეგ აღნიშნული თანხები ირიცხებოდა QQAAZZ-ის კონტროლირებად ანგარიშებზე და ხშირად თანხების კონვერტაცია ხდებოდა კრიპტოვალუტაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და იგი ევროპოლის, ინტერპოლისა და სხვადასხვა ქვეყანასთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში კვლავ აქტიურად აგრძელებს სხვადასხვა სახის ოპერატიული დახმარების აღმოჩენას“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

დმანისის საკრებულოს თავმჯდომარის დაჭრის ფაქტზე მისი ნათესავი დააკავეს

პოლიციამ კახა ოქრიაშვილის ბიძაშვილის, დმანისის საკრებულოს თავმჯდომარის დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დაკავა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დმანისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული ბ.ო. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

უწყების ცნობით, დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 1-ელ ნოემბერს, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავახის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, თავისი ნათესავი, დმანისის საკრებულოს თავმჯდომარე, 1966 წელს დაბადებული მ.ო. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ფეხის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 118-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

საფოსტო გზავნილში არადეკლარირებული 51.000 დოლარი აღმოაჩინეს

მებაჟე ოფიცრებმა საფოსტო გზავნილში არადეკლარირებული თანხა აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

საქართველოს მოქალაქის – ა.ნ.-ს კუთვნილი საფოსტო გზავნილის დათვალიერების შედეგად, აღმოჩენილი იქნა არადეკლარირებული თანხა – 51.000 აშშ დოლარის (164.959.5 ლარი) ოდენობით.

„საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონდამრღვევ მოქალაქეს სანქციის სახით დაეკისრა ფულადი ჯარიმა – არადეკლარირებული თანხის 10%-ის ოდენობით – 16.495.95 ლარი. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის მიზნით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების შემოტანა/გატანა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მკაცრ საბაჟო კონტროლს ექვემდებარება.

თანხა აღმოჩენილ იქნა გაფორმების ეკონომიკური ზონა – „აეროპორტის“ საფოსტო გზავნილების საბაჟო კონტროლის სამმართველოს მებაჟე ოფიცრების მიერ“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

საპატრულო პოლიცია კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ მოქმედი წესებისა და რეკომენდაციების აღსრულების მიზნით აქტიურ მონიტორინგს აგრძელებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, კოვიდ 19-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული წესებისა და რეკომენდაციების აღსრულების მიზნით, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში კონტროლს აქტიურ რეჟიმში ახორციელებენ.

პატრულ-ინსპექტორები მობილიზებული არიან თბილისში არსებულ ყველა მეტროსადგურთან და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მეტროსადგურში შემსვლელი პირების მიერ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მოქმედი წესების დაცვას და პირბადეების სწორად ტარებას აკონტროლებენ.

გარდა ამისა, სამართალდამცველები დედაქალაქსა და საქართველოს ყველა დიდ ქალაქში არსებული აგრარული ბაზრების, აგრეთვე, ბაზრობების ტერიტორიაზე, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად, ინტენსიურ რეჟიმში ახდენენ პატრულირებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან სოციალური დისტანცია, სწორად ატარონ პირბადე და დაემორჩილონ პოლიციელთა მითითებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდება.

სროლა შეშელიძის ქუჩაზე

გუშინ, 4 ნოემბერს, გლდანში, შეშელიძის ქუჩაზე სროლა იყო.

ადგილობრივების ინფორმაციით, შემთხვევა ბიზნესგარჩევას უკავშირდება და ინციდენტი მანქანების სახელოსნოსთან მოხდა.

დაზიანებულია ავტომობილი, რომელსაც, სავარაუდოდ, ტყვია მოხვდა და საქარე მინა აქვს ჩამსხვრეული, თუმცა, არავინ დაშავებულა, რადგან ავტომანქანაში არავინ იმყოფებოდა.

– დაზიანებულია ავტომანქანა და ვერკვევით, დამატებით დეტალებზე ვერაფერს გეტყვით, გამოძიება დაწყებულია, – განაცხადა პოლიციელმა, რომელიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა.

გორში არასრულწლოვნებმა მანქანა და ჩარიცხვის აპარატი გაიტაცეს

3 ნოემბერს ორმა არასრულწლოვანმა ჯერ გორის ცენტრალურ მოედანზე მდგარი მანქანა, შემდეგ კი, ამ მანქანით ჩარიცხვის აპარატი გაიტაცა.

შს სამინისტროს ცნობით, ორივე არასრულწლოვანი იდენტიფიცირებულია.

როგორ მოახერხეს მანქანის გატაცება, ან ჩარიცხვის აპარატის გატაცებით, რა ზიანი მიადგა კომპანიას, ამის შესახებ შს სამინისტროში კომენტარს არ აკეთებენ.

არასრულწლოვნების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

მთიანი ყარაბაღი: დაღუპულია 46 და დაშავებულია 144 მშვიდობიანი მოქალაქე

აზერბაიჯანის მხრიდან თავდასხმების დაწყებიდან დღემდე მთიანი ყარაბაღში დაიღუპა 46 და დაშავდა 144 მშვიდობიანი მოქალაქე.

ამის შესახებ არაღიარებული მთიანი ყარაბაღის ომბუდსმენმა არცახ ბეგლარიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, მოქალაქეთა უძრავ ქონებას, ასევე საზოგადოებრივ და სამრეწველო ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

– დაზიანდა 13.800 ერთეულზე მეტი კერძო უძრავი ქონება, 3.100-ზე მეტი ინფრასტრუქტურული, საზოგადოებრივი და სამრეწველო ობიექტი, მათ შორის ელექტროსადგურები, ქსელები, წყალმომარაგებისა და გაზმომარაგების ინფრასტრუქტურა. დაზიანდა სულ მცირე 2.100 ავტომობილი და სხვა პირადი ქონება, – განაცხადა ომბუდსმენმა.

მისივე თქმით, აზერბაიჯანი აგრძელებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესებისა და პოლიტიკური შეთანხმებების უგულებელყოფას და მშვიდობიანი მოსახლეობისა და მთიანი ყარაბაღის ინფრასტრუქტურაზე მიზანმიმართულ თავდასხმებს ახორციელებს.

თურქეთში მიწისძვრისგან დაღუპულთა რაოდენობა 116-მდე გაიზარდა

თურქეთში 30 ოქტომბერს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 116-მდე გაიზარდა.

ამჟამად მკურნალობა 137 დაშავებულს უტარდება, ხოლო 900-მდე ადამიანი საავადმყოფოებიდან უკვე გაწერეს.

მაშველებმა ამ დრომდე 107 ადამიანი, მათ შორის ბავშვები, გადაარჩინეს.

უსატი დოდონს მხარს არ დაუჭერს

მოლდოვის პრეზიდენტობის ექსკანდიდატი რენატო უსატი ყოფილ პრემიერ მაია სანდუს შეხვდა. შედეგად უსატიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მეორე ტურში მოქმედ პრეზიდენტ დოდონს მხარს არ დაუჭერს.

– დოდონი კორუფციისა და ძმაბიჭობის სიმბოლოა! ჩვენი ხალხი არჩევნებზე მის წინააღმდეგ გამოვიდა, – თქვა უსატიმ.

მეორე ტურში ერთმანეთს მაია სანდუ და დოდონი დაუპირისპირდებიან.

უსატიმ არ დააკონკრეტა, სანდუს მხარს დაუჭერს თუ არა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საფრანგეთის დედოფლის სარკე ოჯახს ტუალეტში ეკიდა

მომცრო ზომის სარკე, ზომებით 51X41 სანტიმეტრზე, რომელიც 40 წელი ოჯახის ტუალეტში ეკიდა, უკიდურესად უიშვიათესი ნივთი აღმოჩნდა, ისე რომ, ამის შესახებ ოჯახისთვის არაფერი იყო ცნობილი.

ოჯახმა სარკე მემკვიდრეობით 1980-იან წლებში მიიღო. სარკე რომ ოდესღაც სამეფო ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა, მათ აუქციონერის ენდრიუ სტოუსგან შეიტყვეს. სარკის ქვეშ, ვერცხლის ფირფიტაზე ამოტვიფრულია მისი მფლობელის სახელი, თუმცა ოჯახი ფიქრობდა, რომ ეს უბრალოდ ხუმრობა იყო.

მარია-ანტუანეტას სარკე ბრიტანეთის ქალაქ ბრისტოლში აუქციონზე 6 ნოემბერს იქნება გამოტანილი და ის ათი ათას ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული.

ცნობილმა მუზეუმმა ტრამპის ცვილის ფიგურა სანაგვეში მოათავსა

ბერლინში მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების ცნობილი მუზეუმის ფილიალმა აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ცვილის ფიგურა სანაგვე კონტეინერში ჩადგა.

მუზეუმში აღნიშნეს, რომ ეს აქცია სიმბოლურ ხასიათს ატარებს და აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებს ეძღვნება, რომელიც 3 ნოემბერს იმართება.

– ჩვენ, მადამ ტიუსოს მუზეუმს ბერლინში, უსაფრთხოების მიზნით გვსურდა დონალდ ტრამპის ფიგურა გადაგვენახა, – განმარტა მუზეუმის ფილიალის წარმომადგენელმა.

აღსანიშნავია, რომ ტრამპის ფიგურა ნაგვის ტომრების გარემოცვაში დგას, ხოლო თავად კონტეინერიდან მოჩანს პლაკატები წარწერებით: „თქვენ განთავისუფლებული ხართ“, „ფაიკ ნიუსები“ და „მე მიყვარს ბერლინი“.

მანამდე აშშ-ის პრეზიდენტის ფიგურა თეთრი სახლის სხვა ყოფილი მეთაურების გვერდით იდგა, რომელთა შორისაა რონალდ რეიგანი და ბარაკ ობამა.

ექიმმა ყალბ „ალადინის ლამპარში“ მსხვილი თანხა გადაიხადა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში ექიმმა თაღლითებს შვიდ მილიონ რუპიაზე მეტი თანხა გადაუხადა „ალადინის ლამპარში“, რომელიც ყალბი აღმოჩნდა.

ექიმმა ლაიკ ხანმა პოლიციაში თაღლითების წინააღმდეგ განცხადება შეიტანა. მან განაცხადა, რომ მამაკაცმა, რომელიც თავს თვალის ექიმად ასაღებდა, იმაზე დაიყოლია, რომ მისგან თითქოსდა ჯადოსნური ლამპა შეეძინა, თავისი მტკიცების გასამაგრებლად კი აჩვენა, თუ როგორ უნდა გაემოეხმო ჯინი.

როდესაც ხანმა მოისურვა, ჯინს შეხებოდა ან ლამპა სახლში მანამდე წაეღო, სანამ თანხას გადაუხდიდა, თაღლითმა ამაზე უარი უთხრა. მან განუცხადა, რომ მაგიურ ობიექტს, შესაძლოა, მისთვის ზიანი მიეყენებინა. ბოლოს და ბოლოს, ხანმა „ალადინის ლამპრის“ გამყიდველის ირწმუნა და მას მოთხოვნილი თანხა გადაუხადა. თაღლითი მას ლამპის დახმარებით ჯანმრთელობას, სიმდიდრესა და წარმატებას შეჰპირდა. მოგვიანებით ის მიხვდა, რომ ლამპარი არ არის ჯადოსნური, ხოლო „ჯინს“ მისი ერთ-ერთი მფლობელი განასახიერებდა.

უფროსმა პოლიციელმა ამიტ რაიმ განაცხადა, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა თაღლითობის ბრალდებით ორი მამაკაცი დააპატიმრეს. მისივე თქმით, სავარაუდოდ, თაღლითობაში ერთ-ერთი დაკავებულის მეუღლეც მონაწილეობდა, თუმცა ის ჯერჯერობით თავისუფალია.

აგრესიული ტახი კაფეში შევარდა და დახლზე ახტა

ჩინეთის ცზიანსუს პროვინციის ქალაქ ნანკინში აგრესიული გარეული ტახი კაფეში შეიჭრა და არეულობა მოაწყო. ამის ამსახველი სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი 29 დეკემბერს ერთ-ერთ კაფეში მოხდა, სადაც რძიანი ყავა იყიდება. დაწესებულებაში მოულოდნელად შევარდა ტახი. ის დაეჯახა სკამს და წააქცია, შემდეგ ახტა დახლზე და შეშინებული ოფიციანტის თვალწინ მასზე გადაირბინა.

გოგონა ტახის დანახვაზე სწრაფად გადაევლო დახლს და მის მეორე მხარეს აღმოჩნდა, რათა გარეულ, დაახლოებით ასკილოგრამიან ცხოველთან შეჯახებისთვის თავი აერიდებინა. ტახიც ახტა დახლზე, გზად ყველაფერი მიმოყარა და შემდეგ კაფედან გავარდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გარეული ცხოველი კიდევ რაღაც დროის განმავლობაში დარბოდა ქალაქის ქუჩებში, სანამ ის ტრანკვილიზატორით არ გააუვნებელყვეს და არ დაიჭირეს. აღნიშნული ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

რვა ადამიანის მკვლელი ვეფხვი დაიჭირეს და გალიაში ჩასვეს



ინდოეთის მახარაშტრას შტატის ქალაქ ჩანდრაპურას სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დაიჭირეს ვეფხვი, რომელმაც სულ მცირე რვა ადამიანი მოკლა.

სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომლები ცხრა თვე ნადირობდნენ მოუხელთებელ მტაცებელზე. ექვსი წლის ვეფხვის ანგარიშზე ადამიანებზე 11 თავდასხმა იყო, რომელთაგან რვა ტრაგიკულად დასრულდა. ეს ამ შტატისთვის რეკორდული მაჩვენებელია. მიუხედავად ამ ყველაფრისა და ხელისუფლების გაფრთხილებისა, ხალხი მაინც არ წყვეტდა ტყეში სიარულს.

სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომლებს საქმეს ისიც ურთულებდა, რომ ვეფხვი მსხვერპლს მხოლოდ ღამით ესხმოდა თავს, როდესაც ტრანკვილიზატორების გამოყენება აკრძალულია.

მოუხელთებელი მტაცებელი სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დაგებულ ხაფანგში 27 ოქტომბერს გაება. ხაფანგი რკინიგზის ხაზის ხიდის ქვეშ იყო დაგებული.

– ცხოველი მაშინვე ტრანკვილიზატორით დავაძინეთ და გალიაში მოვათავსეთ, – ნათქვამია დეპარტამენტის ოფიციალურ განცხადებაში.

ძროხამ პითონი დაიჭირა

ავსტრალიის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე შენიშნეს შინაური ძროხა, რომელსაც პირით პითონი ეჭირა.

მექანიკოსის ენდრიუ ჰერცის ყურადღება უცნაურმა სცენამ იმ დროს მიიპყრო, როდესაც სამსახურში მიდიოდა.

– დავინახე, რომ ძროხის პირიდან რაღაც იყო ჩამოკიდებული. მანქანა მის გვერდით დავამუხრუჭე და მივხვდი, რომ ეს რამსეის სახეობის პითონი იყო, – განაცხადა ავსტრალიელმა, რომლის თქმით, გველის სიგრძე ერთ მეტრამდე იქნებოდა.

მამაკაცმა ვერ მოახერხა იმის გარკვევა, თუ როგორ აღმოჩნდა ქვეწარმავალი ძროხის ყბებში. ჰერცის ვარაუდით, ძროხამ პითონი იმის გამო დაიჭირა, რომ მისგან საფრთხე იგრძნო.

– აქ ხშირად წააწყდებით ძროხის ტყავს, ცხოველებს, რომლებსაც ავტომობილი დაეჯახა, კენგურუს ძვლებს, – ამტკიცებს ჰერცი, – მაგრამ არასოდეს მინახავს, რომ ძროხის ნადავლი ქვეწარმავალი გამხდარიყო.

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

მეგობრის საჩუქარმა ქალი გაამდიდრა

კანადის ალბერტის პროვინციის სოფელ კადოგანის მკვიდრმა ქალბატონმა ლატარიაში ჯეკპოტი დაბადების დღეს მეგობრისგან საჩუქრად მიღებული ლატარიის ბილეთის წყალობით მოხსნა. კეროლ ლინ ფოსენის თქმით, მეგობარმა მას დაბადების დღეზე მომენტალური ლატარიის ბილეთი აჩუქა. მან დამცავი ფენა გადაფხიკა და შეიტყო, რომ მისმა მოგებამ 75 ათას კანადურ დოლარზე მეტი შეადგინა.

– დღემდე ვერ დამიჯერებია, რაც მოხდა, – განაცხადა ფოსენმა. გათამაშების გამარჯვებული აპირებს მოგებული თანხა შვილებს გაუნაწილოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სოსო ლაღიძის სახელობის ფესტივალი დასრულდა

რუსთაველის თეატრის მსახიობის სოსო ლაღიძის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „თბილისი რიტმი“ მისმა შვილმა ანი ლაღიძემ ჩაატარა.

სამდღიანმა ფესტივალმა ხელოვნების სხვადასხვა სფერო გააერთიანა. ფესტივალი ჯგუფმა „ირიაომ“ და მოცეკვავე თეა დარჩიამ გახსნეს. ჯგუფმა ეროვნული მუზეუმის ეზოში სოლო კონცერტი გამართა, თეა დარჩიამ კი თავისი ორიგინალური ცეკვით საღამო კიდევ უფრო გაალამაზა.

„თბილისი რიტმის“ მეორე საფესტივალო დღე სოულის ჟანრის მომღერალს თინუკა კანდელაკს დაეთმო.

ფესტივალი კი რუსთაველის თეატრის მსახიობმა მურმან ჯინორიამ დახურა მონოსპექტაკლით „ქარი მწყურია მე პირდაპირი“.

პანდემიის პირობებში ფესტივალის ჩატარება ძალიან რთული აღმოჩნდა, თუმცა არა შეუძლებელი. ანი ლაღიძემ ყველაფერი გააკეთა, რომ მამის სახელის უკვდავსაყოფად დაარსებული ღონისძიება უმაღლეს დონეზე წარმართულიყო.

ზურა დოიჯაშვილის საქართველოში დასაბრუნებლად მარათონი გაიმართება

საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტმა დავით ოქიტაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, მოაწყოს საქველმოქმედო მარათონი და მძიმე ავადმყოფი, მომღერალი ზურა დოიჯაშვილი სამშობლოში დაუბრუნოს:

– საქართველოს კულტურის პალატა რამდენიმე კვირაა მუშაობს პროექტზე, რომლის მეშვეობითაც ცნობილ ქართველ მომღერალ ზურაბ დოიჯაშვილს დავეხმარებით ფინანსურად და მძიმე სენით შეპყრობილს დავაბრუნებთ საქართველოში ისრაელიდან საჰაერო სამედიცინო რეანიმობილით!

უამრავი გულშემატკივარი გვეხმაურება უკანასკნელ დღეებში, გამოთქვამს დახმარების სურვილს!

საქართველოს კულტურის პალატა ამზადებს მარათონს. კავშირი გვაქვს ზურა დოიჯაშვილის მეუღლესთან. ნებისმიერ მსურველს, რომელსაც უყვარს ზურა და მისი შემოქმედება, შეუძლია ჩაერთოს ამ საქველმოქმედო აქციაში.

გიორგი მღებრიშვილი: „არც ერთი ადამიანის სიცოცხლის ფასად არ ღირს არც ერთი „პარტია“

ასე მიაჩნია მომღერალსა და იუმორისტს გიორგი მღებრიშვილს და საზოგადოებასაც მეტ დაფიქრებას ურჩევს:

– ზოგადად, არ მიყვარს პოლიტიკაზე საუბარი და პოლიტიკაში ჩარევა, რადგან ვფიქრობ, რომ ეს ყველაზე ბინძური საქმეა, მაგრამ ამ საკითხს გვერდს ვერ ავუვლით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. „არჩევნებმა“ ყველაფერი ნათლად დაგვანახა – ჩხუბი! ლანძღვა! გინება! ცემა! გაწევ-გამოწევა და კიდევ რამდენი ცხოველური ასპექტი! რა გჭირთ ხალხო?! პირველ რიგში ერთმანეთის პატივისცემა უნდა ვისწავლოთ და მერე ისე ვისაუბროთ „არჩევნებზე“ და ზოგადად „დემოკრატიაზე“, რაც ჩვენს ქვეყანას ძალიან აკლია! არ აქვს მნიშვნელობა, „ოცნება“ ხარ, „ნაციონალი“ თუ სხვა რომელიმე პარტიის წარმომადგენელი, ჯერ ადამიანობაა უპირველეს ყოვლისა. „პარტიების“ გამო ჩხუბობთ და სცემთ ერთმანეთს, რომელ ადამიანობაზეა საუბარი!

ასე ვერაფერს გავხდებით! ასე ვერ წავალთ წინ! არსად ასეთი რამეები არ ხდება, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა! ნამდვილად სამარცხვინო ფაქტების წინაშე დავდექით, რით ვერ გაიგეთ, რომ ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლების სათავეში, ყველა თავისი „ჯიბისთვის“ მოვა! დაპირებებში ყველა მაგარია, მაგრამ მერე აღარავის ახსოვს ხალხი და ქვეყანა. ჩვენ კიდევ მაგათი გულისთვის ვხოცავთ ერთმანეთს და ათას არაადამიანურ ქმედებებს ჩავდივართ! ჩვენ ერთიანი ძალებით უნდა ვფიქრობდეთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზე და არა რომელიმე პარტიის კეთილდღეობაზე. სანამ ერთმანეთის სიყვარულს და პატივისცემას არ ვისწავლით, რომელ „არჩევნებზე“ და საერთოდ რომელ დემოკრატიაზეა საუბარი. არც ერთი ადამიანის სიცოცხლის ფასად არ ღირს არც ერთი „პარტია“ – ყველა ერთი ნაგავია!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თბილისის დინამო ისევ გალიდერდა

დილა-დინამო (თბ) 0:3

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

0:1 გაბედავა (5), 0:2 იაშვილი (15), 0:3 სხირტლაძე (83პ)

დილა: გუგეშაშვილი, ხურცილავა, მაისაშვილი (ლექვთაძე 58), სანტოსი (ჩიტეიშვილი 63), სილვა, ეტოუ, ნონდი, მარკოზაშვილი (მადინგა 73), კოენი, სპანდერაშვილი, კოვტალიუკი

დინამო: კვასხვაძე, კობოური, ქიმაძე, ბენიო, იაშვილი, მექვაბიშვილი (გაგნიძე 72), ქარდავა, კუცია (ორშულა 65), ქავთარაძე, გაბედავა (სხირტლაძე 77), პერნამბუკო

ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა თბილისის დინამომ, რომელიც სტუმრად გორის დილას დაუპირისპირდა და მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხა.

ორივე გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძვის, მაგრამ ამ შედეგის შემდეგ დილა საჩემპიონო რბოლას ჩამოშორდება. ლიდერთან სხვაობა უკვე 4 ქულაა, პლუს დედაქალაქელებს გორელებზე 2 მატჩით ნაკლები აქვს. დილას არათუ ჩემპიონობა, შესაძლოა, სამეულიც სანატრელი გაუხდეს.

დინამოელებმა პირველი გოლი მატჩის დებიუტშივე გაიტანეს. მასპინძელთა დაცვის ჩავარდნით მოქმედმა ჩემპიონებმა კარგად ისარგებლეს და ის კომბინაცია გაათამაშეს, რომელიც გიორგი გაბედავამ გატანილი გოლით დაასრულა.

მე-15 წუთზე სტუმართა უპირატესობა ორამდე ნოდარ იაშვილმა გაზარდა და მერე საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ გასჭირვებია.

საბოლოო ანგარიში 83-ე წუთზე დავით სხირტლაძემ დაფიქსირა, რომელმაც მისივე მოპოვებული პენალტი ზუსტად შეასრულა.

ლოკომოტივი-საბურთალო 2:1

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 იმრანი (30), 2:0 იაკობიძე (88), 2:1 გურეშიძე (90სკ)

ლოკომოტივი: მამარდაშვილი, გურეშიძე, სანდოხაძე, გაბაძე (მჭედლიშვილი 65), უბილავა, დარცმელია, შონია, იმრანი (ძებნიაური 70), კირკიტაძე, გავაშელიშვილი (იაკობაშვილი 58), სიხარულიძე

საბურთალო: დ.კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, ჭიჭინაძე, კაკუბავა, მაჭარაშვილი (ტაბატაძე 59), ტერა, ალთუნაშვილი (ცნობილაძე 68), ბუმალი, ქავთარაძე (გაბუნია 79), გულიაშვილი

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი მიხეილ მესხის სათადარიგო მოედანზე გაიმართა. ორივე გუნდი სამეულისთვის და ევროსაგზურისთვის იბრძვის და ამ ჭიდილში ლოკომოტივი დაწინაურდა. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა მეტოქე 2:1 დაამარცხა და ლიდერთა სამეულს მიუახლოვდა.

ლოკომოტივმა ანგარიში ულად-ომარ იმრანის მიერ გატანილი გოლით შეხვედრის 30-ე წუთზე გახსნა. 83-ე წუთზე უპირატესობა ორამდე გიორგი იაკობიძემ გაზარდა და 3 ქულის მოპოვების საკითხი პრაქტიკულად გადაწყვიტა.

მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გატანილი გოლით თავი ისევ ლოკომოტივის ფეხბურთელმა გამოიჩინა, თუმცა ამჯერად ალექსანდრე გურეშიძემ ავტოგოლი მიითვალა და შედეგად სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა. დარჩენილი დრო, საბურთალოსთვის თამაშის შემოსატრიალებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ჩიხურა-თელავი 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 კვასოვი (37), 1:1 წიქარიძე (72), 1:2 მოისწრაფიშვილი (88)

ჩიხურა: ზარქუა, კამლაძე, კაშია, კორიფაძე (წიქარიძე 56), ჯაფიაშვილი, ჩიკვაიძე, გვაზავა, კახაბრიშვილი, კიკაბიძე (ჯიგკაევი 46), ბერეზოვი, ბუხაიძე (მუჯირი 73)

თელავი: სანიკიძე, თოლორდავა, მარაქველიძე, ბერიაშვილი, დიმიტროვსკი, ბაჩიაშვილი, ნ.ბაშელეიშვილი, მოსიაშვილი, პოღოსიანი (ჯიქია 72), სამუშია (მოისწრაფიშვილი 65), კვასოვი (კანდელაკი 87)

ჩიხურას ბოლო შანსი ფლეი აუტიდან თავი აეცილებინა, უშედეგო გამოდგა – ზემო იმერლებმა თელავთან 1:2 წააგეს და ახლა მხოლოდ იმაზე უნდა იფიქროს, რომ ელიტიდან არ გავარდნენ.

პირველივე წუთებიდანვე სტუმართა უპირატესობა თვალშისაცემი იყო და 37-ე წუთზე საჩხერელთა კარში ლოგიკური გოლიც გავიდა – ანგარიში იაროსლავ კვასოვმა გახსნა.

მეორე ტაიმის 77-ე წუთზე ჩიხურამ თენგიზ წიქარიძის მიერ გატანილი გოლით ანგარიში გაათანაბრა და შეხვედრაში ინტრიგა დაუბრუნა, მაგრამ 88-ე წუთზე თელავმა ულამაზესი კომბინაცია გაითამაშა და გიორგი მოისწრაფიშვილმა საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	13	8	4	1	25-6	28
2.დინამო (ბთ)	13	7	5	1	23-10	26
3.დილა	15	6	6	3	23-12	24
4.ლოკომოტივი	13	6	4	3	21-16	22
5.საბურთალო	15	5	6	4	22-16	21
6.თელავი	15	3	10	2	13-11	19
7.ტორპედო	13	4	4	5	13-19	16
8.სამტრედია	14	4	4	6	10-18	16
9.მერანი	14	0	6	8	4-21	6
10.ჩიხურა	15	1	3	11	14-39	6

ბაიერნი საჩოგბურთო ანგარიშით იგებს, სიტი და ლივერპული – იოლად

ა ჯგუფი

ზალცგურგი-ბაიერნი 2:6

1:0 ბერიშა (4), 1:1 ლევანდოვსკი (21პ), 1:2 კრისტენსენი (44სკ), 2:2 ოკუგავა (66), 2:3 ბოატენგი (79), 2:4 სანე (83), 2:5 ლევანდოვსკი (88), 2:6 ერნანდესი (90)

მიუნხენის ბაიერნი ზალცბურგს ესტუმრა და საჩოგბურთო ანგარიშით იმარჯვა – 6:2.

არადა, მატჩს საამისო არაფერი ეტყობოდა. ზალცბურგმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს, საგოლე შანსებიც ჰქონდა, იგებდა კიდეც თავიდან, ხოლო შეხვედრის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ტაბლოზე 2:2 ეწერა.

თუმცა, ბაიერნისთვის დროს მნიშვნელობა რომ არ აქვს, კიდევ ერთხელ გამოჩნდა – ბაიერნმა 11 წუთში 4 გოლი გაიტანა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

ლოკომოტივი-ატლეტიკო 1:1

0:1 ხიმენესი (18), 1:1 მირანჩუკი (25პ)

მადრიდის ატლეტიკო მოსკოვში, „ლოკომოტივს“ ესტუმრა და ვერ მოიგო. არადა, დიეგო სიმეონეს გუნდი აშკარა ფავორიტად განიხილებოდა, უამრავი საგოლე შანსიც ჰქონდა. ლოკომოტივს კი, მეტოქის კარისკენ თითქმის არც გაუხედავს. თუმცა, ტაბლომ მაინც თანაფარდობა დააფიქსირა – 1:1.

ხოსე ხიმენესის დასაწყისშივე გატანილი გოლი სწრაფადვე პენალტით ანტონ მირანჩუკმა გაქვითა და მერე არაფერი შეცვლილა.

ბაიერნი 9 ქულით ლიდერობს ჯგუფს, ატლეტიკოს 4 ქულა აქვს, ლოკომოტივს – 2, ზალცბურგს – 1.

ბ ჯგუფი

რეალი-ინტერი 3:2

1:0 ბენზემა (25), 2:0 სერხიო რამოსი (33), 2:1 მარტინესი (35), 2:2 პერიშიჩი (68), 3:2 როდრიგო (80)

აქამდე მოგებების გარეშე მყოფი რეალი და ინტერი ერთმანეთს გაეჯიბრნენ და ახლოს იყვნენ, რომ ისევ გამარჯვების გარეშე დარჩენილიყვნენ.

პირველ ტაიმში კარიმ ბენზემასა და სერხიო რამოსის გოლებით მადრიდელებმა სოლიდური უპირატესობა მიიღეს, მაგრამ ჯერ ლაუტარო მარტინესმა შეამცირა სხვაობა, ხოლო მეორე ტაიმში ანტონიო კონტეს ინტერი უკეთ ირჯებოდა და ივან პერიშიჩმა გათანაბრებაც შეძლო.

თუმცა, იტალიელებმა მარცხს თავი მაინც ვერ აარიდეს, რადგან მე-80 წუთზე როდრიგომ გამარჯვების გოლი გაიტანა. რეალმა მოუგებელი სერია დაასრულა და ინტერს ცხრილის ფსკერზე ადგილი გაუცვალა.

შახტარი-გლადბახი 0:6

0:1 პლეა (8), 0:2 კრამერი (17), 0:3 პლეა (26), 0:4 ბენსაბაინი (44), 0:5 შტინდლი (65), 0:6 პლეა (78)

დონეცკის შახტარს წინა ტურებში ქებამ აწყინა და გლადბახთან შერცხვა – 0:6. ჩვენებურმა დავით ხოჭოლავამ შეუცვლელად ითამაშა, მაგრამ მისმა გუნდმა 6 უპასუხო გოლი გაუშვა. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ჩვენებურის ბრალი რომელიმე იყო.

გლადბახმა ჩემპიონთა ლიგაზე ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგო. საერთოდაც, მარკო როზეს გუნდი შეტევაში ფანტასტიკურად გამოიყურება და 3 თამაშში 10 ქულა გაიტანა. შახტართან ჰეთ ტრიკი შეასრულა პლეამ, ხოლო კრამერმა, ბენსაბაინმა და შტინდლმა თითო გოლი იკმარეს.

ჯგუფს გლადბახი 5 ქულით ლიდერობს, რეალსა და შახტარს 4-4 ქულა აქვთ, ხოლო ინტერს – 2.

გ ჯგუფი

პორტუ-მარსელი 3:0

1:0 მარეგა (4), 2:0 ოლივეირა (28პ), 3:0 დიასი (69)

თითქოს ამ გუნდებს მეორე ადგილისთვის უნდა ებრძოლათ, მაგრამ მარსელი აშკარად ვერ აჩვენებს ჩემპიონთა ლიგის დონეს და ზედიზედ მესამედ წააგო, თანაც უშანსოდ – 0:3.

მასპინძლებმა დასაწყისშივე მოილიეს საქმე, რომლის ბოლომდე მიყვანა აღარ გასჭირვებიათ.

სიტი-ოლიმპიაკოსი 3:0

1:0 ტორესი (12), 2:0 ჟეზუსი (81), 3:0 კანსელუ (90)

სიტი თავიდანვე ჯგუფის ფავორიტი იყო და ამას ყველა მატჩში ამტკიცებს. ინგლისურმა გუნდმა ოლიმპიაკოსი ოფლის დაუღვრელად 3:0 დაამარცხა და ქულათა მაქსიმუმით ჯგუფის სათავეშია.

პორტუს 6 ქულა აქვს, ოლიმპიაკოსს – 3, ხოლო მარსელი უქულოდ ცხრილის ფსკერზეა.

დ ჯგუფი

ატალანტა-ლივერპული 0:5

0:1, 0:2 ჟოტა (16, 33), 0:3 სალაჰი (47), 0:4 მანე (49), 0:5 ჟოტა (54)

მიმდინარე სეზონში დამაჯერებლად ვერ გამოიყურება, მაგრამ ბერგამოში ატალანტასთან ჩავიდა და 5:0 გაანადგურა.

მერსისაიდელებმა პირველი ტაიმი 2:0 მოიგეს, ხოლო მეორე ტაიმის საწყის 10 წუთში 3 გოლი გაიტანეს და იტალიური კლუბი შეარცხვინეს. ისევ ბრწყინვალე იყო დიოგო ჟოტა, რომელმაც ჰეთ თრიქი შეასრულა.

მიდტიულანდი-აიაქსი 1:2

0:1 ენტონი (1), 0:2 ტადიჩი (13), 1:2 დრეიერი (18)

ამ მატჩში ყველაფერი 18 წუთში გადაწყდა. კორონავირუსის გამო თითქმის განახევრებული აიაქსი მე-13 წუთისთვის 2 ბურთით იგებდა, რომელიც მასპინძლებმა მალევე გაქვითეს, მაგრამ სულ ეს იყო...

9 ქულით ჯგუფს სიტი ლიდერობს, აიაქსსა და ატანტას 4-4 ქულა აქვთ, ხოლო მიდტიულანდს – 0.

სიტის მესი უნდა, მესი კონტრაქტზე დაფიქრდა

მანჩესტერ სიტი ბარსელონას თავდამსხმელისთვის ლიონელ მესისთვის კონტრაქტის შესათავაზებლად ემზადება. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, სიტი არგენტინელს წინადადებით 2021 წლის იანვარში მიმართავს.

კატალონიური კლუბის კაპიტანს, რომელსაც კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულში ეწურება, მსურველ კლუბებთან მოლაპარაკებების დაწყება ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე უკვე შეუძლია.

ინგლისურ კლუბს სურს, ისარგებლოს იმ გაურკვევლობით, რომელიც ბარსელონაში პრეზიდენტის ხოსეპ მარია ბართომეუსა და დირექტორთა საბჭოს გადადგომით არის გამოწვეული და ცდილობს, არგენტინელი სუპერვარსკვლავი ტრანსფერზე წინდაწინ შეიპიროს.

სავარაუდოდ, ლიონელთან წინასწარი კონტრაქტის შეთანხმებაზე სიტის სატრანსფერო განყოფილების ხელმძღვანელი ომარ ბერადა იზრუნებს. კონტრაქტის თანახმად, მესიმ 3 წელიწადი ინგლისურ პრემიერლიგაში უნდა გაატაროს, კიდევ 2 წელიწადი კი – სიტის შვილობილ კლუბში, ნიუ იორკ სიტიში.

ამასობაში ბარსელონას მმართველი კომისიის ხელმძღვანელი კარლეს ტუსკეტსი ადასტურებს, რომ ლიონელ მესი მზადაა, ხელფასის შემცირების თაობაზე კლუბთან მოლაპარაკებები აწარმოოს.

ბართომეუს პრეზიდენტობიდან გადადგომამდე მესი ხელფასის შემცირებაზე უარს აცხადებს, ახლა კი, როგორც ჩანს, არგენტინელმა პოზიცია შეიცვალა.

კარლოს ტუსკეტსი:

– კონკრეტულად მესისთვის ცალკე პირობებს ვერ შევიმუშავებთ. შეგვიძლია სხვადასხვა შემთხვევებისთვის რამდენიმე სტრუქტურა შევქმნათ, მაგრამ არა ინდივიდუალებზე მორგებული. დეტალებს ვერ გეტყვით, რადგან ჯერ მოლაპარაკებების დასრულებაა საჭირო, მაგრამ ახლა შემიძლია გითხრათ ის, რომ მესი და მისი წარმომადგენლები თანამშრომლობისთვის მზად არიან.

შეგახსენებთ, რომ მესი ბარსელონას ღირსებას 2003 წლიდან იცავს. კატალონიურ გუნდთან ერთად არგენტინელმა ფორვარდმა 34 ტიტული მოიგო. გასული სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში ლეოს კლუბის გამოცვლა სურდა, თუმცა მოგვიანებით დარჩენა გადაწყვიტა.

შედეგები

3 ნოემბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ზალცბურგი-ბაიერნი 2:6
ლოკომოტივი-ატლეტიკო 1:1
რეალი-ინტერი 3:2
შახტარი-გლადბახი 0:6
პორტუ-მარსელი 3:0
სიტი-ოლიმპიაკოსი 3:0
ატალანტა-ლივერპული 0:5
მიდტიულანდი-აიაქსი 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

შერმადინი ოქტომბერში საუკეთესოა

გიორგი შერმადინი ესპანეთის ჩემპიონატის ოქტომბრის თვის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. ტენერიფეს ქართველი ცენტრი ევროპის უძლიერეს ლიგაში შეუჭერებელია და გასულ თვეში გამართულ 4 მატჩის ჯამში ის უკლებლივ ყველა მოთამაშეზე სარგებლიანი იყო. შესაბამისად, ლიგის ხელმძღვანელობამ საპატიო – თვის მვპ-ის ტიტული ქართველ კალათბურთელს გადასცა, რომელსაც აღნიშნული პრიზი წინა სეზონში 2-ჯერ აქვს მოგებული.

ესპანურ ლიგაში, ოქტომბერში, გიორგი შერმადინის საშუალო მარგი ქმედების მაჩვენებელი 28.7 იყო, რაც საკმარისი აღმოჩნდა თვის მვპ-ად აღიარებისთვის. სწორედ ქართველის დიდი დამსახურებაა, ტენერიფეს ისტორიაში სეზონის საუკეთესო სტარტი რომ აქვს – 6 მოგება, 1 მარცხი.

ოქტომბერში ჩატარებული 4 მატჩიდან გიორგისთვის ყველაზე შედეგიანი თავის ყოფილ გუნდ უნიკახასთან მატჩი აღმოჩნდა, რომელშიც მან 27 წუთში 22 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი და 2 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა თამაშიდან 8-დან 8 ბურთი ჩააგდო, ხოლო 7 საჯარიმოდან მხოლოდ 1 აცილა. ამ 4 მატჩიდან ტენერიფელებმა ფუენლაბრადა, ხუვენტუდი და უნიკახა დაამარცხეს, ხოლო ბარსელონასთან დამარცხდნენ. ტენერიფე ესპანურ ლიგაში მე-2 ადგილზეა. შემდეგ ტურში შერმადინის გუნდი ბეტისს უმასპინძლებს. მანამდე კი, ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაზე იტალიურ სასარის დაუპირისპირდება.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კუნძული ვენეციის ყურეში, პოპულარული საკურორტო ზონა; 2. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 3. სპარსელი პოეტი; 5. ორსართულიანი ლაზური სახლი; 6. ტბა დუშეთის რაიონში; 8. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ზონა; 10. საკანცელარიო ნივთი; 12. ქართული ავიაკომპანია; 14. პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი მამაკაცი; 15. სადაზღვევო მოწმობა; 16. კომბინაცია პოკერში.

თარაზულად: 1. ოჯახის მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 4. ეგვიპტელი ქრისტიანები; 7. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 9. შესანახად დამჟავებული ბოსტნეული; 11. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. კუთხე საქართველოში; 13. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 17. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 18. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 19. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 20. საახალწლო ტკბილეული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხატწერა; 2. სქური; 3. სიბარიტი; 4. გოდერძი; 5. კალვადოსი; 9. გლაქსო; 12. თეოლოგი; 15. ხადა; 17. სიონი; 18. ჯანი.

თარაზულად: 6. მარაქა; 7. ბიოლოგია; 8. მწყერი; 10. ბრაგა; 11. ჰაუპტვახტი; 13. ბარხასი; 16. ფელბსი; 19. ავტობანი; 20. ბიურგერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მახა; 2. რადიო; 3. გვარლი; 5. გოეთე; 6. ნორვეგია; 8. კონსილიუმი; 10. სტიმული; 12. პარკერი; 14. აპნისი; 15. გალიფე; 16. ბეუეი.

თარაზულად: 1. მუჯირი; 4. აგარანი; 7. მადერა; 9. ლაზები; 11. კნესეტი; 12. პრობაცია; 13. ამქარი; 17. კაპელა; 18. გურუ; 19. ბრუქსიზმი; 20. ცილინდრი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3409

ევრო — 3.9042

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3348

100 რუსული რუბლი — 4.2148

ამინდის პროგნოზი 5 ნოემბრისათვის

დიეგო მარადონას თავიდან ჰემატომა ამოუღეს



მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას დიეგო მარადონას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმები შიშობდნენ, რომ მის სიცოცხლეს შეიძლებოდა საფრთხე დამუქრებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

მარადონას თავიდან ჰემატომა ამოუღეს და მას საკმაოდ ხანგრძლივი ოპერაცია დასჭირდა. ამჟამად მისი მდგომარეობა სტაბილურია და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თუმცა, დიდი ალბათობით, მარადონას ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდება.

დიეგოს ჯანმრთელობის მდგომარეობა რამდენიმე თვის წინ გაუარესდა.

კლოპი: „ატალანტასთან შესანიშნავად ვითამაშეთ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ატალანტასთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა ძალიან კარგი შეხვედრა ჩაატარა და მას თითქმის არა აქვს პრეტენზიები ფეხბურთელებთან.

მიუხედავად ამისა, კლოპის აზრით, ლივერპულს კიდევ უფრო უკეთესად თამაში შეუძლია: – ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, რადგან მათ საკმაოდ ძლიერ მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს, მაგრამ ჩვენ მიღწეულით არასოდეს ვკმაყოფილდებით და მომავალ შეხვედრებში უკეთ უნდა ვითამაშოთ.

ფერლან მენდი: „რეალი კარგ ფორმაშია“

მადრიდის რეალის ფრანგმა მცველმა ფერლან მენდიმ ინტერთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ რეალი ნელ-ნელა ოპტიმალურ ფორმას უახლოვდება და მომავალში მეტ გამარჯვებას მოიპოვებს:

– რეალი ყოველთვის ფავორიტია ნებისმიერ ტურნირში, სადაც ის თამაშობს და ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში ბევრი რამ გვაქვს დასამტკიცებელი. ვფიქრობ, რომ კარგ ფორმაში ვართ და შეგვიძლია უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ.

რეალმა ინტერი 3:2 დაამარცხა.

ნეიმარი პსჟ-სთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს



პსჟ-ს ბრაზილიელი ფორვარდი ნეიმარი უახლოეს მომავალში გუნდთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს და ის პსჟ-ს დატოვებას არ აპირებს. ასეთი ინფორმაცია გავრცელდა ფრანგულ მედიაში.

ნეიმარის შესაძლო წასვლის შესახებ ბევრი იწერებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მან გადაწყვეტილება შეცვალა.

ბრაზილიელი ვარსკვლავი კონტრაქტს 2025 წლამდე გააფორმებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

5 ნოემბრისათვის

ვერძი – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

...

ფსიქოლოგი პაციენტს ეკითხება:

– სექსი თუ ალკოჰოლი?

– ექიმო, იქნებ ისიც მკითხოთ: „დედა უფრო გიყვარს თუ მამა?“

•••

ცოლმა ეჭვიანობის გამო დეტექტივი დაიქირავა ქმრის სათვალთვალოდ. ერთი კვირის შემდეგ დეტექტივმა ფურცელი მიუტანა, რომელზეც ჩამოწერილი იყო, თუ რით იყო დაკავებული მისი ქმარი თავის საყვარელთან.

საღამოს სახლში მისულ ქმარს ცოლმა სახეში ესროლა ფურცელი. მან წაიკითხა დაწერილი, გაფითრდა, შემდეგ კი ძლივს ამოილუღღუღა:

– და ახლა რა უნდა გავაკეთო?

– რა და, აი, ეს, ეს და კიდევ მთელი მეხუთე აბზაცი!

•••

პატარა ბიჭი დარბის ბინაში, ყველაფერს ძირს ყრის, წიგნებს, ტანსაცმელს, აყირავებს სკამებს. ხმაურზე ძიძა მიირბენს და ეკითხება:

– რას აკეთებ?

– ვთამაშობ.

– რას?

– შენი დედა... სადაა მანქანის გასაღები?

•••

მამაკაცს ეკითხებიან:

– საიდან ხართ?

– თბილისიდან.

– ახლა ყველა თბილისელია, და კონკრეტულად?

– ხონიდან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემნა გვასალიას კაბა სელენა გომესმა მოირგო



მსოფლიოში ცნობილმა მომღერალმა სელენა გომესმა ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას ულამაზესი ყვავილებიანი კაბა მოირგო.

ეს კაბა დიზაინერის ბალენსიაგას ხაზის შემოდგომა-ზამთრის 2020 წლის კოლექციიდანაა.

აჩიკო გულედანი: „არჩევნები მოგვპარეს!“



მომღერალი და მუსიკოსი აჩიკო გულედანი საჯაროდ აცხადებს, რომ არჩევნები მოგვპარეს:

– ფაქტია, რომ არჩევნები მოგვპარეს!

ვინც ამას ვერ ხედავს ვიღაცისადმი ზიზღის, გამორჩენის ან სხვა მიზეზების გამო, თავისი გაჭირვებაც ეყოფა.

სხვადასხვა კატეგორიის ცხვრის ფარის ქცევის მოტივების განხილვა არ არის ახლა მთავარი. მთავარია ვეგუებით თუ არა ამას, როგორც რომელიმე „თურქმენეთში“ თუ ვართ საზოგადოება, რომელსაც გამარჯვების გარანტიები და „სვეტსკი სასტავი“ კი არ სჭირდება რომელიღაც მხარეზე დასადგომად, არამედ უბრალოდ ასე ფიქრობს, პრინციპებს, ფასეულობებს არ დათმობს და მორჩა.

დიდება თავისუფლებას! ძალა ერთობაშია! ჰიმნი უბრალოდ სიმღერა არ არის და გერბი ჯასთ ნახატი!

მერაბ ნინიძე 55 წლის გახდა

მსახიობი მერაბ ნინიძე 55 წლის გახდა. იუბილარმა ხელოვანმა მილოცვები მთელი მსოფლიოდან მიიღო. როგორც თავად აღნიშნავს, მის ცხოვრებაში იყო ბევრი მნიშვნელოვანი ეტაპი, რამაც მისი ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა.

თუმცა განსაკუთრებული მისთვის მაინც თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიებაა“, სადაც თორნიკე არავიძის როლი შეასრულა.

მერაბ ნინიძემ თავის წიგნში „მთავარია მსახიობი არ გამოხვიდე“ „მონანიების“ ეკრანებზე გამოსვლა გაიხსენა:

– 1987 წელს, როგორც იქნა, „მონანიება“ საჯაროდ გამოვიდა ეკრანზე. პრემიერისთვის ბებიაჩემმა კაბა შეიკერა. ფილმი ელვის სისწრაფით გახდა პოპულარული, ბილეთების დეფიციტი შეიქნა, დარბაზი ყველა სეანსზე გადაჭედილი იყო და მეც ნელ-ნელა შევატყვე, რომ უკვე ქუჩაში მცნობდნენ.

ერთხელ „ლაღიძის წყლებში“ შევედი წყლის დასალევად. მარტო ვიყავი და ჩემთვის ჩუმად დავდექი. უცებ ჩემ ირგვლივ გოგოები შეიკრიბნენ. დავინახე, რომ თან ჭიქიდან წყალს წრუპავდნენ, თან ჩუმ-ჩუმად ჩემკენ აპარებდნენ თვალს. მივტრიალდი და ცოტა მოშორებით გავიწიე. გოგოებიც მომიახლოვდნენ.

უცებ ერთის ხმა გავიგონე: „კინოში კიდე არაუშავს, მაგრამ ცხოვრებაში დიდი არაფერი“. მოულოდნელობისგან წყალი გადამცდა და ღამის იქვე დავიხრჩე.

მაშინ მივხვდი, რომ ალბათ ეკრანი აკეთილშობილებს ადამიანებს, სახეებს – ეტყობა, რეალობაში მაინც სხვანაირები ვართ და არც ისე მომხიბვლელები, როგორც ჩვენ გვგონია.

ნონა გაფრინდაშვილი ამერიკულ სერიალში ახსენეს

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, უნიჭიერესი ქართველი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი ამერიკულ მინისერიალში „დედოფლის გამბიტი“ ახსნეს. სერიალი ნეტფლიქსმა გადაიღო და ის მაყურებელში უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

„დედოფლის გამბიტი“ უოლტერ რევისის წიგნის მიხედვით არის გადაღებული და მთავარ როლს ანია ტეილორ ჯოი ასრულებს. სერიალი ბეტ ჰარმონის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ჭადრაკის სამყაროში ამერიკის აღმოჩენა გახდა.

ქართველი მაყურებლისთვის განსაკუთრებით საამაყო აღმოჩნდა მინისერიალის დასკვითი ფინალური სერია, სადაც ნონა გაფრინდაშვილზე ისაუბრეს. სერიალში, როდესაც ბეტ ჰარმონი ჭადრაკს მამაკაც მოწინააღმდეგეს ეთამაშება, კომენტატორი აღნიშნავს:

– ამ ინტელექტუალურ თამაშში მას სქესი თუ გამოარჩევს, თუმცა ის ერთადერთიც არაა რუსეთში. არსებობს ნონა გაფრინდაშვილი, ის ქალთა მსოფლიო ჩემპიონია, თუმცა ის არასდროს შეხვედრია კაც მოთამაშეს.

მართალია სერიალში ნონა გაფრინდაშვილი ახსენეს, თუმცა მასზე მცდარი ინფორმაცია გავრცელდა – თითქოს ის მამაკაც მოწინააღმდეგეებს არასდროს შეხვედრია. 1965 წელს დიდ ბრიტანეთში ნონა გაფრინდაშვილმა ჭადრაკი ერთდროულად 28 მამაკაც მოჭადრაკესთან ითამაშა.

ამ ფაქტს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა მოჭადრაკე ოლიმპიუ ურკანი:

– სერიალის სცენარით ნონა გაფრინდაშვილს არასდროს უთამაშია ჭადრაკი მამაკაც მოწინააღმდეგესთან. სინამდვილეში სწორედ ნონა გაფრინდაშვილმა შთააგონა სხვა ქალ მოჭადრაკეებს, გაბედულად ეთამაშათ მოწინააღმდეგე მამაკაცებთან.

თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი რჩეულებს გამოავლენს

თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი წელს საკონკურსო პროგრამაში 5 ქვეყნის 5 საუკეთესო კინოსკოლას აერთიანებს.

გერმანიის, პოლონეთის, ისრაელის, არგენტინის და საქართველოს კინოსკოლების სპეციალური 120-წუთიანი კინოპროგრამები ნაჩვენები იქნება ინტერნეტში პირდაპირი ეთერით სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმების მეშვეობით.

3 საუკეთესო ფილმს – მხატვრულს, ანიმაციურსა და დოკუმენტურს გამოავლენს ჟიური, რომლის წევრებიც არიან კინორეჟისორი თამარ შავგულიძე და კინომცოდნეები, ნენო ქავთარაძე და გიორგი რაზმაძე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხსვოხდი ›



შვეულად: 1. დ.კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი; 2. ცბიერი, გაიძვერა ადამიანი; 3. ქართველი მწერალი ქალის დესპინე გელოვანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 4. კარსტული მღვიმე წყალტუბოს მახლობლად; 5. გემის ავარიის, ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 9. დეტექტიური ჟანრის ბრიტანელი მწერალი ქალი; 12. ქარული ხალხური სანადიმო სიმღერა; 14. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 15. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 17. ცხენებშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 18. აზროვნების უნარი, გონება.

თარაზულად: 6. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 7. ქართველი ასტროლოგი; 8. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 10. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 11. შუშხუნა ღვინოების მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. რთული, სადავო საკითხის შემფასებელი, სწორი დასკვნის დამდგენი სპეციალისტი; 16. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 20. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა